ეროვნული ბიბლიოთეკა





# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

11
1983




გ. ჭახტანბაძის ფოტო.

რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის დარბაზში

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების მე-200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ი. ანდროპოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი, 1983 წლის 28 ოქტომბერი.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლუციის 67-ე წელი

# სიახლეები ქალთა შრომით კანონმდებლობაში

საბჭოთა კავშირში ქალთა უფლებები კონსტიტუციით და კანონმდებლობით დიდიხანია დადგენილი და გარანტირებულია, მაგრამ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა პროფკავშირებთან ერთად კვლავ და კვლავ უბრუნდებიან ამ საკითხს, უფრო აფართოებენ და აღრმავებენ დედა ქალის უფლებებს, ამ უფლებების რეალურად განხორციელების სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს.

ბოლო წლებში რამდენიმე დადგენილება მიიღეს ამ საკითხზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის დადგენილება—„ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებულია ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების გასაძლიერებლად დამატებითი ღონიძიებების განხორციელება.

ამ დადგენილებით დაწესდა, რომ შემოღებულ იქნეს მომუშავე დედებისათვის ფასიანი შვებულება, გადიდდეს უხელფასო შვებულება.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ სთხოვა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანს, საქართველოს სსრ პროფსაბჭოსთან არსებულ ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ზინაიდა კვაჭაძეს უფრო დაწვრილებით განუმარტოს ჩვენს მკითხველს, ჩვენს ათიათასობით ქალს ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი.

— საქართველოში 1983 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა 'ერთი წლის საერთო შრომის სტაჟის მქონე ყველა მომუშავე დედისათვის, აგრეთვე წარმოების მოწყვეტით მოსწავლე ქალებისათვის, დღის დასწრებული სტუდენტებისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოსავლელად, — სანამ ბავშვი ერთი წლისა გახდებოდეს, — თვეში 35 მანეთის ოდენობით (შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში — თვეში 50 მანეთის ოდენობით).

ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების შემოღებასთან ერთად, მომუშავე ქალებს უფლება მიეცათ მიიღონ დამატებით უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ ის წლინახევრისა გახდებოდეს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა უფლებით ისარგებლებენ ის ქალები, რომელთა ბავშვებსაც ერთი წელი 1983 წლის 1 ნოემბრამდე რამდენიმე თვით ადრე შეუსრულდათ, ისე რომ, ამ თარიღისათვის ბავშვი ჯერ კიდევ არ იყო წელიწადნახევრისა?

ცნობილია, რომ დღემდე მოქმედი კანონის თანახმად, ქალს ჰქონდა უფლება ყოფილიყო უხელფასო შვებულებაში ბავშვის ერთი წლის ასაკის შესრულებამდე. ამის შემდეგ, თუ მას მორიგი კუთვნილი ყოველწლიური შვებულება უკვე გამოყენებული ჰქონდა, ვალდებული იყო სამუშაოზე გამოცხადებულიყო, ხოლო შემდეგ, დადგა რა 1983 წლის 1 ნოემბერი, მას კვლავ შეუძლია გავიდეს უხელფასო შვებულებაში იმ დრომდე, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდებოდეს.

ქალებს, რომელთაც 12 წლის ასაკამდე ორი ან მეტი შვილი ჰყავთ, ეძლევათ 3-დღიანი დამატებითი შვებულება ხელფასის შენარჩუნებით.

აქ ის არის გასათვალისწინებელი, რომ ამ შემთხვევაში შვებულების საერთო ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 28 კალენდარულ დღეს. ასეთ ქალებს უფლება ეძლევათ მიიღონ აგრეთვე ორკვირიანი უხელფასო შვებულება, მაგრამ იმ დროს, როდესაც ეს წარმოების პირობებით შესაძლებელია.

1983 წლის 1 ნოემბრიდან დედებისათვის ერთდროული დახმარების კიდევ ერთი კარგი ფორმა შევიდა ძალაში. სახელმწიფო მატერიალურად ეხმარება მშობიარე ქალს: პირველი ბავშვის დაბადებისას მიეცემა 50 მანეთი, ხოლო მეორე და მესამე ბავშვის დაბადებისას — 100-100 მანეთის დახმარება.

ახლა რაც შეეხება პენსიების საკითხს: 1981 წლის 1 ნოემბრიდან დაწესდა დამატებითი შეღავათები იმ ქალებისათვის, რომელთაც ხუთი ან მეტი შვილი აღზარდეს, ან ბავშვი დაბადებით ინვალიდი ჰყავთ. ასეთ ქალებს ასაკით პენსია შეიძლება მაშინაც დაენიშნოთ, თუ არანაკლებ 5 წლის შრომის სტაჟი აქვთ. ამ შემთხვევაში, არ არის სავალდებულო, რომ ქალი პენსიის მოთხოვნის დროს მუშაობდეს და არც ის, რომ ამ დროისათვის ბოლო სამი წლის უწყვეტი შრომის სტაჟი ჰქონდეს. იმას კი, ვისაც არასრული შრომის სტაჟი აქვს, პენსიაც არასრული სტაჟის პროპორციული ოდენობით ენიშნება.

იმ პირისათვის, რომელსაც შრომის ხანგრძლივი უწყვეტი სტაჟი აქვს ერთ სისტემაში, დაწესებულია პენსიაზე დანამატი 20 პროცენტის ოდენობით. ხოლო ბავშვებიანი ქალებისათვის ეს სტაჟი 5 წლით შემცირებულია.

მიზანშეწონილად მიმაჩნია გავამახვილოთ ყურადღება 1981 წლის 22 იანვრის დადგენილების იმ პუნქტზე, სადაც აღნიშნულია, რომ ბავშვიან ქალებს, უფრო ფართოდ უნდა მივცეთ არასრული სამუშაო დღის ან არასრული სამუშაო კვირით მუშაობის საშუალება, შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურებით, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ჯერ ერთი, ეს ქალს უმსუბუქებს შრომას და უქმნის ოჯახური საქმიანობისათვის, ბავშვის აღზრდისათვის ხელსაყრელ პირობებს, მეორეც, დღეს, მუშახელის ნაკლებობის პირობებში, სახელმწიფოს ეძლევა იმის საშუალება, რომ საზოგადოებრივ შრომაში ჩავაბათ ქალები, რომელთაც შრომის სურვილი აქვთ, მაგრამ მთელი დღისა თუ მთელი კვირის განმავლობაში მუშაობა არ შეუძლიათ.

ბუნებრივია, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ საწარმოებისათვის, სადაც ძირითადად ქალები არიან დასაქმებული, ოღონდ აქ არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით ქალების დასაქმება გარკვეულ წინასწარ ორგანიზაციულ და სხვა მუშაობის ჩატარებას მოითხოვს.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთ საწარმოს ხელმძღვანელს ამ ღონისძიების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა კარგად არა აქვს გაგებული, არ სურს „საქმე გაირთულოს“ და ხელაღებით უარს ამბობს ამ ღონისძიებების გატარებაზე.

შრომის კანონმდებლობის და მათ შორის ქალთა შრომის კანონმდებლობის ცხოვრებაში სწორად გატარება პროფკავშირების ერთერთი ძირითადი მოვალეობაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს პროფკავშირები კარგად ართმევენ თავს ამ ამოცანას, რაც მრავალჯერ აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე.

საწარმოებისა და ორგანიზაციების, პროფკავშირთა კომიტეტების, გაერთიანებული კომიტეტების, პროფკავშირთა დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების, საოლქო საბჭოების, საქართველოს პროფსაბჭოს, მისი იურიდიული სამსახურების მუშაობის გააქტიურების შედეგია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მინიმუმამდეა შემცირებული ქალთა შრომითი გარანტიების დარღვევის შემთხვევები.

დედებისათვის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოა, რადგან დედა და დედობაა თვით საზოგადოების არსებობის საფუძველი.

საუბარი ჩაიწერა

ირმა ჩოფიკაშვილმა

სოფელს სიცოცხლე უბრუნდება

# რა ლამაზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის სიგრილისაგან თეთრად შეჭირხლულა მიდამო. თავისუფლების მოლოდინით გულგადალეული საქონელი მოუსვენრად წრიალებს ბოსელში. აეროპორტის მხრიდან ავტომატიზებული დანადგარის მონოტონური ხმაური ისმის. სივრცეს ჰკვეთს თავქვე მოჯირითე მხედრის ომახიანი შეძახილი.

განაპირა სახლიდან გარმონი ხმიანობს და მთელ სოფელს ესმის ათასჯერ გაგონილი და მაინც სანეტარო „რა ლამაზია თუშეთი“. სიმღერას ტრაქტორებისა და ორხიდიანი მანქანების გუგუნი ახშობს. და აი, თითქმის დღენიადაგ ასე თენდება ომალოში.

შენაქოს ფერდობებს ძროხა დაუყვება ძოვაძოვით. ხახაბოს კორწოხზე თეთრად გადაიპენტება ცხვარი და ქალების გადაძახილ-გადმოძახილში საბოლოოდ ფხიზლდება სოფელი.

საოჯახო საქმით უკვე დაღლილ დედებს ჯანმრთელი და ფეხშიშველი ბალღები ეკიდებიან კალთებზე. ჰაერში ახლად მოწველილი რძის სუნი ტრიალებს. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც ახალი დღე იწყება მთაში.

## „ელი-დედა“

ჩამოწველილ ძროხებს მიერეკება საძოვარზე და თითქოს არც ესმის, მეზობლის ბიჭი რომ მთელი ხმით გაჰყვირის: — ელი-დედა, ელი-დედა სოფელში ჩამობრუნებული თბილად გადასძახებს, რა გინდოდა, ბიჭო, ეხლა თქვიო.

ჯანმაგარი და მუხლჩაუხრელი ქალია ელენე ჩაგაიძე, ომალოელ ახალგაზრდებს სიყვარულით რომ შეურქმევიათ „ელი-დედა“. ომალოში გაზრდილი ელიჩკა (ასე ეძახიან მას) მშობლებს ბარად, ალვანში ჩაუყვანიათ, მაგრამ გულის სწორი მაინც ომალოდან ამოურჩევია და ისევ მშობლიურ მთებში ამოსულა სამკვიდროდ. ცხვარ-ძროხა მოუმრავლებიათ, მამა-პაპეული ადგილი გაუმაგრებიათ და ბიჭიც წამოსწრებიათ. ახლა მის ბიჭს მშვენიერი სახლი აუშენებია და ორი პატარა თუშიც შეჰმატებია ჩაგაიძეების საგვარეულოს.

ელი-დედა, მოწინავე მუშაკო, — ადრევე გვითხრა მეურნეობის დირექტორმა



ელიჩკა ჩაგაიძე

ტელმან იჭირაულმა და მის კარმიდამოს შორიახლოს რომ ჩავუარე, ეჭვიც არ შემპარვია ელენეს კაიქალობაში. შემდეგ კი, როცა პირადად ვესტუმრე, ვკითხე — ასე ლურჯად რომ ხასხასებს ხახვის, კომბოსტოს, ლობიოს დ ათასგვარი ბოსტნეულის ნათესი, თუ ასწრებს შემოსვლას მეთქი? (მანამდე მეგონა აქ მხოლოდ კარტოფილის, შვრიის და ქერის მოყვანა შეიძლებოდა.)—გული იყოს, თორემ ჩვენი მიწისთანა ბარაქიანს სხვაგან სად ნახავო, — მომიგო.

ჯერ მხოლოდ მესამე წელია, რაც თუშეთში საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა და, რა თქმა უნდა, ყველაფერს ფეხზე უნდა წამოყენება, მოწესრიგება. აქ სათიბიო, იქ საკვები კულტურებიო, ცხვარ-ძროხაო! სახლის საქმეც არ უნდა ჩამოიტოვო უკან და, ეს იმ დროს, როცა ელი-დედას მარტო თორმეტი ძროხა ჰყავს საკუთარი.

— შარშან მინერალური სასუქი შევიტანეთ საძოვრებში. ისეთი ბალახი მოვიდა, ავ თვალს არ ენახვებოდა, მაგრამ რძეს უწინდელის ნახევარიც აღარ ჰქონდა ცხიმი.

— წლეულს?

— წლეულს ჩვეულებრივ ბალახზე გადავიყვანეთ და რა შედარებაა! რა ვქნა, მიყვარს მთა და იქნებ ამიტომაც არის, რომ ვერ გავჩერდი ბარად. ეეჰ, რა ვუთხრა ჩვენ ხალხს, თორემ აქ რომ ლამაზი ზამთარი იცის, უკეთესს სად ნახავ! შემოდგომის მიწურულს რომ გაიკრიფებიან

# თუშეთი!

ბარში, ისე ვარ, რომ ცოტა ხანი არც რაიმეს გაკეთება მინდა და არც რამეზე ფიქრი. ტელევიზორიც გვაქვს, სინათლეც, ტელეფონიც, საჭმელ-სასმელიც და მეტი რაღა მოეთხოვება მთას ჯერ-ჯერობით! აი, ხომ ხედავ, მოვიცლი თუ არა, „ჩითებსა" ვქსოვ. ჩემ ქმარ-შვილს ყველანაირ ფეხსაცმელს ურჩევნია ესენი, — მეუბნება და ჯერაც ძირშემოუმთავრებელ „ჩითებს" მიჩვენებს. თვითონაც უცხოს თვალით ათვალიერებს მზის შუქზე და გუმანი მკარნახობს, რომ გულში, უხმოდ ამბობს, დაილოცა ჩემი კუთხე, ჩემი ადგილ-მამულიო.

## თამარი

შეშფოთდა სოფელი — კაცი ტრაქტორიდან გადმოვარდა, სახე დაელეწა, გონება დაკარგა, თამარ ექთანმა სასწრაფოდ გაუკეთა შრატი, მარჯვედ, გაბედულად და სწრაფად აღმოუჩინა დაზარალებულს პირველი სამედიცინო დახმარება. ავადმყოფი მალე გაამგზავრეს ბარში. თითქოს დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ სულში ჩარჩა ახალგაზრდა კაცის დაიარებული სახე და გულისტკივილი მარტოობისა. მარტო იყო თამარ ექთანი, თითქმის უმწეო, რადგან გვერდით არ ჰყავდა ექიმი. ხომ შეიძლებოდა, ისეც შეწუხებული ავადმყოფი, გზითაც აღარ შეწუხებულიყო და აქვე გაეკეთებინათ საჭირო ოპერაცია. წინათ ექიმიც იყო ომალოში და საავადმყოფოც:

— აგერ, თუშეთის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი სახლები შენდება. აქეთ კიდევ სკოლაა, მითითებს მოგუგუნე მანქანებისა და ტრაქტორებისაკენ და აღარ ამთავრებს სათქმელს.

მოკრძალებული ქალია თამარ ექთანი. ბევრ სიტყვას არც თავის თავზე დახარჯავს და არც სხვაზე, თუმცა სხვებისთვის ზრუნვით, ვინ იცის, რამდენი ღამე თეთრად გაუთენებია. ახლაც მოერიდა ერთხელ უკვე ნათქვამის გამეორებას — ნეტავ ექიმი და საავადმყოფო ელირსებოდეს თუშეთს და მტერსაც კი შეშურდებოდა ჩვენიო.

კახელი ქალი ოცდარვა წლის წინათ კვალიფიციური ექთანის წოდებით ამოვიდა ომალოში და მას მერე ველარ შეელია მთას. თუშებმაც შეიყვარეს, ექთანიც ეს არის და ჩვენი მხსნელიცო, — ამბობენ თამარ აგურაშვილზე.

## ელისო

სიცხისაგან გაბეზრებული, ჭრიჭინებით გაყრუებული ზეგანი. თაკარა მზე და ნიავწანწალა.

გრილს შეფარებული ხბორები კანტიკუნტად ბლავიან. ფხაჭნია ბალახებში ძლივს მიიკვლევს გზას ახლადფეხადგმული გოგო.

ეს მიდამოები საზაფხულო საძოვრებია. თუშეთის მეურნეობის 101 ფურს აქ ერთი მწყემსი, სამი მწველავი და ერთიც



ელისო მოზაიძე უმცროს შვილებთან

ყველის დამამზადებელი უვლის. იმ სამი მწველავიდან ერთ-ერთი ელისო მოზაიძეა—ოცდათხუთმეტიოდე წლის ქალი და ხუთი შვილის დედა. ყველის დამამზადებელი კი ამ დიდი ოჯახის მამა, ტარიელ მოზაიძეა, ოჯახის შვიდივე წევრი ძროხაშია.

შრომისმოყვარეობამ ამოიყვანა მოზაიძეები ახლად შექმნილ თუშეთის საბჭოთა მეურნეობაში. ოთხი ბიჭისა და გოგონას მშობლებს ერთი აქვთ საფიქრალი — საკუთარ მაგალითზე უჩვენონ შვილებს, თუ როგორ უნდა ქვეყნის სიყვარული და მშრომელი კაცის დაფასება.

სკოლაში კარგად უსწავლია ელისოს, სწავლის გაგრძელება სურვებია, მაგრამ ოჯახის ხელმოკლეობის გამო, გათხოვება გადაუწყვეტია, და თუ რამ მიზანი და ოცნება ჰქონია, ყველა შვილების გაზრდისთვის უნაცვლებია. და ხომ უმართლებენ კიდეც ვაჟებიც იმედს! ოთხივე ბიჭი ფრიადოსანია და ზაფხულში მშობლებთან ერთად სამწყესურში არიან.

სხვა ქალს იქნება წუწუნის მეტი არა გაეკეთებინა რა ელისოს ადგილზე — ხუთი შვილის მთვლა, ფიზიკური შრომა, თითქმის უსახლკარობა, ზაფხულის პერიოდში წვიმაში და ქარში შვილებით ზოგჯერ ნაბდის ამარა ყოფნა... მაგრამ ოლონდაც კარგი ადამიანები დადგნენ ჩემი შვილები და უფრო მეტსაც ნუ იტყვიან, — ასე ამბობს გამრჯე ქალი.

## მარო სისაური

სადაც არის ასი წელი შეუსრულდება. ამ ასი წლიდან 40 წელზე მეტი ლოდინში გალია.

ერდადერთი ვაჟიშვილი სარატოვში სწავლობდა. შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში გადავიდა. სამამულო ომმაც იქ მოუსწრო. ოცი წლისა იყო მაშინ ევსო.

ომის პირველ დღეებში წავიდა ფრონტზე, შინ აღარ დაბრუნებულა. დედამ ცნობა მიიღო, — უგზოუკვლოდ დაიკარგაო. მას შემდეგ არ სცილდება თავის კარმიდამოს. აქედან წავიდა ჩემი ევსო და ისევ აქ დაბრუნდებაო.

მეუღლე კარგახანია გარდაეცვალა. ქალიშვილს თელავში აქვს ოჯახი. დედა ზამთარ-ზაფხულ ომალოშია: ევსო რომ ჩამოვა, ცარიელი ხომ არ უნდა დახვდეს სახლიო.

ეკითხებიან, თუ მოგწონს დღევანდელი ცხოვრებაო. ელიმება:

— აბა რა იყო უწინ. ქმართან სხვების დასანახად დალაპარაკებაც კი სირცხვილი იყო. ოჯახის წევრებთანაც ვერ ვბედავდი პურის ჭამას. უბედური ცხოვრება იყო. ახლა განათლებაც არი და კარგი ყოფაც. მომწონს შარვლიანი ქალები. კარგებიც არიან და ლამაზებიც, მხოლოდ ეგ არის, ევსო იგვიანებს, რატომ არ ჩამოდის, ხომ მოიხადა თავისი ვალი. გზაზე რომ შემხვდეს, იქნებ ვერც ვიცნო, უკვე მოხუცდებოდა...

და არც ერთხელ, არ მოუხსენებია თავისი ვაჟი, როგორც დაღუპული.

უსათვალოდ ქსოვს ჩითებს, ირეცხავს, სადილს იმზადებს და ყოველთვის გზისკენ უჭირავს თვალი — მახარობლის მოსვლა არ გამომეპაროსო.

მზია ჭიჭიაშვილი



მარო სისაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაციონალიზატორები

„...ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებათა ძიება, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, დანაკარგების შემცირებას, ყველა გამომგონებლისა და რაციონალიზატორის ვალია“ — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების მე-6 ყრილობისადმი.



ლიანა ორდენიძე

ლიანა ორდენიძე რუსთავის ქიმიური ქარხნის აირგამყოფი საამქროს უფროსი მეაპარატეა. უზარმაზარ პულტთან, რომელსაც თითქმის მთელი კედელი უკავია, იგი შეუსვენებლად მოძრაობს.

ლიანა ქარხანაში 1977 წელს რიგით მეაპარატედ მოვიდა. თავიდან ეჭვის თვალით შეხედეს, იფიქრეს, ცოტას წაიმუშავებს და... ალბათ წავაო. ლიანამ უცებ აუღო ალღო აირგამყოფი დანადგარის რთულ სამართავ პულტს. მისი მართვა, რომელიც გზადაგზა შეკეთებასაც მოითხოვს, ქალებს კი არა, კაცებსაც კი უჭირთ ხოლმე. ის კი არა და, სამუშაოს გასაუმჯობესებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენა, რომელთაგან სამი წარმოებაში დაინერგა.

ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროში ლიანა ორდენიძის პირადი ბარათი ინახება. მისი პირველი რაციონალიზატორული წინადადება 1979 წლის დეკემბერში დაინერგა. ეს წინადადება მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ეფექტის თვალსაზრისით, და, რაც მთავარია, მისი დანერგვით თავიდან აიცილეს მოულოდნელი საფრთხე, რომელიც თან სდევდა ხოლმე რეგენერატორების სარკმლის მოხსნას.



ელექტრომექანიკოსი ე. ნადოევა და ელექტრომონტიორი ნ. ხასიევა



მკერავი მოდელიორები მ. ხოტენაშვილი და თ. გვარჯალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას მოჰყვა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი წინადადება; საამქროში ხდება ჰაერის გაყოფა აზოტად და ჟანგბადად. ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ჰაერი შედის სარექტიფიკაციო კოლონაში, სადაც ნაწილობრივ იყოფა მიღებული აზოტი და ჟანგბადი მილებით შედის ტურბოდეტანდერში. აქ ხდება მათი ღრმა გაცივება—184°ც-მდე. ეს გაციებული ჰაერი ადის ზემოთ, ზედა კოლონაში, საბოლოო პროდუქტების — 97 პროცენტიანი აზოტის და 95 პროცენტიანი ჟანგბადის მისაღებად. მეაპარატის მოვალეობაა ტექნოლოგიური რეჟიმის რეგულირება. თუ ოდნავ მაინც დაირღვა ტექნოლოგიური რეჟიმი, ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოო პროდუქტს ვერ მივიღებთ. გარდა ამისა, დროთა განმავლობაში ზიანდება რომელიმე კონდენსატორი. მისი შეკეთებაც საჭიროა, ადრე ყველა კონდენსატორს ხსნიდნენ, რომ გაეგოთ, რომელი იყო დაზიანებული. ლიანამ წამოაყენა წინადადება, რომ მოეწყოთ საკონტროლო წერტილები კონდენსატორის მილებზე. ეს წინადადება მოიწონეს, წარმოებაში დანერგეს და მუშაობა ბევრად გაიოლდა. დაიზოგა დრო, თავიდან აიცილეს ზედმეტი შრომა. ლიანას კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კოლექტივმა. მოწინავე ქალი ერთხმად აირჩიეს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა VI საკავშირო ყრილობის დელეგატად.

ლიანასთან ერთად გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების მე-6 ყრილობის მუშაობაში ახალგაზრდა რაციონალიზატორი მარინე გამაზოვაც მონაწილეობდა. მისთვისაც დაუვიწყარი იყო ყრილობის მუშაობის დღეები. მარინესათვის სიტყვა რომ მიეცათ, ბევრ საინტერესოს მოუყვებოდა ყრილობის მონაწილეებს, იტყოდა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციის დისტანციის გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა, რომელთა პირველადს ორგანიზაციას თვითონ ხელმძღვანელობს, 128 წინადადება დანერგეს და სახალხო მეურნეობას 51 ათასი მანეთის ეკონომია მისცეს; დაასახელებდა იმ 10 ახალგაზრდა რაციონალიზატორს, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის ბოლომდე 55 ათასი მანეთის ეკონომია მისცენ სახელმწიფოს. ვინ არიან ეს ახალგაზრდები? ისინი არიან: ელექტრომექანიკოსი გურამ ოქრუაშვილი, ელექტრომონტიორები ელენე ნადოევა და ნატალია ხასიევა, მიმღები რუსუდან ზარქუა და სხვები, რომლებიც ერთად, მეგობრულად შრომობენ და ზრუნავენ საწარმოს კეთილდღეობისათვის. აი, სწორედ მათს საქმიანობას ხელმძღვანელობს მარინე გამაზოვა, რომლის ბიოგრაფია ძალზე ჩვეულებრივია: საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ელიავას სახელობის სატრანსპორტო ტექნიკუმში განაგრძო, ტექნიკუმი წარჩინების დიპლომით დაამთავრა და ამიერკავკასიის რკინიგზის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციის ელექტრომონტიორობას შეუდგა. ახლა მარინე გამაზოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტია.

დისტანციის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროს თავმჯდომარის მარინე გამაზოვას პირველი რაციონალიზატორული წინადადება ელექტროაპარატების გაწმენდის შემდეგ დარჩენილი ნარჩენების სალიკვიდაციო მოწყობილობის შექმნას შეეხებოდა. როდესაც ეს აზრი დაებადა, ხელმძღვანელს — ბორის ენაკოლოპოვს გაუზიარა. ხელმძღვანელმა მოუწონა აზრი, მუშაობაშიც დაეხმარა და ასე შეიქმნა მოწყობილობა, რომელიც წარმოებაში დღესაც მუშაობს.

კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის აპარატურის ლაბორატორია, სადაც მარინე გამაზოვა შრომობს, ჩვენი დისტანციის ერთ-ერთი რთული ობიექტია. აქ ხდება იმ აპარატურის შეკეთება და სრულყოფა, რკინიგზაზე სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურის საიმედო მუშაობის გარანტიას რომ იძლევა. აქ არემონტებენ შუქნიშნების, ისრების ბლოკებსა და რელეებს. სულ მცირე უზუსტობას შეიძლება აუნაზღაურებელი ზარალი მოჰყვეს. ამიტომ არის, რომ ლაბორატორიაში საქმის უაღრესად მცოდნე, გამოცდილი კომუნისტები მუშაობენ. მათ შორის არის მარინეც — ბეჯითი, მშრომელი ქალიშვილი, კარგი რაციონალიზატორი. ახლახანს მან ახალი წინადადება წამოაყენა, რომელიც რელეების შემოწმების მექანიზაციას ეხება. წინათ რელეებს თვალით ამოწმებდნენ. ახლა კი მარინეს წინადადებით სპეციალური ნათურები დამონტაჟდა, რომელთა დახმარებით უშეცდომოდ მოწმდება რელეების მუშაობა.

პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე რაციონალიზატორები დღენიადაგ ზრუნავენ შრომის პირობების, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დასანერგავად. ახალგაზრდა რაციონალიზატორთა შორის გამოირჩევა ექსპერიმენტული საამქროს მკერავი — მემოდელე მერი ხოტენაშვილი.

პროფტექნიკური სასწავლებლიდან მოსულს შრომის პრაქტიკული ჩვევები ლენინის ორდენოსანმა მკერავმა თამარ გვარჯალაძემ ჩაუნერგა.

მას შემდეგ 15 წელი გავიდა. მერი დაოსტატდა, მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ყველა ახალ მოდელს, რომელიც ექსპერიმენტულ საამქროში იქმნება, მერი ხოტენაშვილი კერავს და მისი ნახელავი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა. პროფესიის სრულყოფილად ათვისების შემდეგ მერი რაციონალიზატორიც გახდა. მერე კი დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ გაეუმჯობესებინა სამუშაო პროცესი, მუშას გაადვილებოდა საქმე. მიაღწია კიდეც ამას.

როცა პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ახალ მოდელის ტანსაცმლის შეკერვას იწყებს, პირველი საცდელი ნიმუში ექსპერიმენტულ საამქროში იკერება. ამ ნიმუშებს მკერავი-მემოდელეები — მერი ხოტენაშვილი და თამარ გვარჯალაძე ქმნიან. დიდი შრომა და ფაქიზი გემოვნებაა ჩაქსოვილი მათს ნახელავში.

ნ. ჭავჭანიძე,
ი. სულთანიშვილი.

შალვა ამონაშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.



წერილები ჩემს ქალიშვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „წყენაო, ჭირთა გადე"...

(წერილი მესამე)

სალამო მშვიდობისა, ჩემო კეთილო გოგონი!

რამდენი ვიცინეთ არა, დღეს, მამიდაშენი რომ მოვიდა და გითხრა — კიდევ კარგი არ წამოხვედი, მკერავი ქალაქგარეთ წასულაო! ის კი გაოცებული შემოგვყურებდა, რა დაემართა, ამ ხალხს ასეთი რა ვუთხარიო.

იცი, რას მეუბნებოდა შენი სიცილი? „როგორი სულელი გოგო ვარ, რამდენი გაუგებრობა გამოვიწვიე და რისთვის?" ჰო, სიცილითაც შეიძლება ბოდიშის მოხდა, სინანულის განცდა, საკუთარი თავის დატუქსვა. შენი სიცილი ბოდიშის მოხდისა იყო, ჩვენი — მიტევებისა. მაგრამ ხომ შეიძლება კიდევ შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა „მარტის" ასაკი ჭირვეულობას დაგაწყებინებს? და მაშინ ატყდება ახალი გაუგებრობა, ისევ აგვეშლება ნერვები, დაგვერღვევა ურთიერთობანი, და რა იმედი გვაქვს, რომ ყოველთვის ყველაფერი სიცილით დამთავრდება, რაც უსიამოვნება განვიცადეთ, ყველაფერს სიცილი წარეცხავს? ადამიანებს გვაქვს ერთი მეტად კეთილშობილური უნარი (თუმცა, სამწუხაროდ, ყველას არა) — მიტევების უნარი. მაგრამ ის კი აღარ შეგვიძლია, რომ ვისაც რა მივუტევეთ, იქვე დავივიწყოთ კიდეც. მიტევება იმას ნიშნავს, რომ დღეის იქით შენთან ურთიერთობაში ადამიანი აღარ იხელმძღვანელებს იმ წყენით, რაც მას მიაყენე, მაგრამ დავიწყება მასზე არ არის დამოკიდებული. არ არსებობს ისეთი საშლელი, რომლითაც მეხსიერებიდან იმის ამოშლა შეიძლებოდეს, რაც ხელს გვიშლის, გვაწვალებს, გვინდა, რომ დავივიწყოთ სამუდამოდ. და, აი, ასე დაგროვებული წყენა მარტო მეხსიერებაში კი არ ფუთფუთებს, გულშიც იჭრება. აბა, მაშ როგორ ხდებიან ადამიანები ავად? უხეში, დაუნდობელი სიტყვით გამოწვეული წყენითაც, ჩემო შვილო! კაცმა ომი მოიარა, ფილტვებში ყუმბარის ნამსხვრევი გაეჩხირა, ყველაფერს გაუძლო, გადაიტანა და აქ, მშვიდობიანობის ჟამს, სამუშაოზე უფროსმა დაუნდობელი სიტყვა ესროლა: დაბორიალობ უთავბოლოდ, შენი გაკეთებული საქმე ხელახლა გასაკეთებელიაო. ამ ნათქვამმა ნაომარ კაცს გულში გაუარა და რაც მტრის ტყვიამ ვერ შეძლო, მან დაასრულა. ადამიანებს გაფრთხილება უნდა, შვილო! ყველა ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ. უფრო სწორად, გავუფრთხილდეთ კი არა, ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ადამიანებს განუწყვეტლივ ვუნაწილებდეთ საკუთარ სიცოცხლეს — თანავუგრძნობდეთ, ვეხმარებოდეთ, წუხილსა და ტკივილს ვუმსუბუქებდეთ, სიხარულს ვუმრავლებდეთ, ჩვენ ვიკლებდეთ და მათ ვმატებდეთ — ეს ვალია ჩვენი, ადამიანი ადამიანით არსებობს.

დღეს შენ ისე გულწრფელად იცინოდი, რომ ვფიქრობ, სასარგებლო იქნება გავიხსენო ის ამბავი, რაც ერთი კვირის წინ მოხდა და რამაც ყველას წყენა და გულისტკივილი მოგვაყენა. გავიხსენო იმიტომ, რომ გავაანალიზო, შენც გაგარკვიო და მეც გავერკვე შეცდომებში, რომლებიც ჩვენს ურთიერთობებში დავუშვით. იმას ვამბობდი, ხომ შეიძლება კიდევ მოგვაკითხოს „მარტის" ასაკის ჭირვეულობამ? რატომ დავაჩაგვრინოთ მას თავი? შენც და ჩვენც გვმართებს დასკვნების გამოტანა. რამ გამოიწვია გაუგებრობა, შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცდინა იგი? როგორ მოვიქცეთ მომავალში? ესეც არ იყოს, მინდა გესაუბრო ურთიერთობებზე, რომელთა გარეშე არ არსებობს ადამიანთა ცხოვრება. განა არ გხედავდი, როგორ წუხდი და შფოთავდი ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდი. მოდი, ისე შევხედოთ ყველაფერს, თითქოს შენზე კი არ იყოს ლაპარაკი, არამედ სხვაზე, შენთვის უცნობ თანატოლ ქალიშვილზე. მით უმეტეს, რომ მსგავსი ისტორია ყოველდღიურად მრავალ ათას ოჯახში ხდება და ათასობით ადამიანს გული წყენითა და უსიამოვნებებით ებერება. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი ისეთი არ მომხდარა. აი, ბოლოსდაბოლოს, რა დიალოგი გაიმართა ჩვენი ბინის ვიწრო შემოსასვლელში.

შენ: — მე მკერავთან მივდივარ, პირველის ნახევარზე მამიდა მელოდება!

დედა: — სად უნდა წახვიდე... საკუთარი ყურით არ გაიგონე, ტრანსპორტი არ იმუშავებსო? სამეცადინოც ბევრი გაქვს, კონსულტაციაც გაგიცდება...

შენ: — არაფერიც, მუშაობს ტრანსპორტი, მუშაობს... წავალ, წავალ!..

დედა: — ვერსადაც ვერ წახვალ, მიხედე შენს საქმეს!

შენ: — არა, წავალ!

ბებია: — რაშია საქმე?

შენ: — თავი დამანებე!

ბებია: — რატომ, რატომ?.. აღარ დაგელაპარაკები!

ძმა: — შენ, გოგო, რა ამბავში ხარ, როგორ ლაპარაკობ! მოუხადე დედას და ბებიას ბოდიში!

შენ: — მომცილდი აქედან... რატომ უნდა მოვუხადო ბოდიში... არავის არ მოვუხდი ბოდიშს!

დედა: — მომისმინე, ჩემო ჭკვიანო...

შენ: — არა ვარ ჭკვიანი. რა უნდა მოგისმინო... რა იქნება კაბა შევიკერო... რატომ არ გინდათ, რომ კაბა შევიკერო!..

მამა: — კარგი, წადი, შვილო, მკერავთან... მე ვთხოვ დედას, რომ გაგიშვას...

შენ: — არ მინდა, არ წავალ, არც კონსულტაციაზე წავალ. იქაც გზებია გადა-

ქეტილი... არ ვისწავლი, არ მოვემზადებ საკონტროლოს... არც გამოცდებს ჩავაბარებ... სულაც სახლიდან წავალ, რაკი ასე გინდათ...

ეს იყო და ეს. მაგრამ მარტო ეს? ვეცდები მიუდგომლად შევაფასო ყველაფერი, ვნახოთ, რა გამოირკვევა.

რამდენიმე დღით ადრე მამიდამ საკაბე გიყიდა. რომელ ქალიშვილს არ უხარია ახალი კაბის შეკერვა? შენც მოუთმენლად ელოდი, როდის წაგიყვანდა მამიდა მკერავთან. საკაბე ყველას მოგვწონდა. სხვადასხვა ჟურნალებში შენ ჩვენთან ერთად ირჩევდი კაბის ფასონს. ბოლოს ერთზე შევჩერდით: ყველამ წარმოვიდგინეთ, როგორ მოგიხდებოდა ფრიალა კაბა... იმ დღეს ბებიამ პურის მოსატანად გაგგზავნა. შენ ისარგებლე შემთხვევით, ავტომატიდან მამიდას დაურეკე და ჩვენგან დაუკითხავად შეუთანხმდი, რომ სასწრაფოდ მიხვიდოდი და ის მკერავთან წაგიყვანდა. გახარებული დაბრუნდი შინ და შემოსასვლელშივე ხალისიანად დაიძახე: „მე მკერავთან მივდივარ, პირველის ნახევარზე მამიდა მელოდება.“ შენ ამ დროს შეპყრობილი იყავი იმ მოუთმენლობით, „მარტის“ ასაკს რომ შეეფერება. ეს მოუთმენლობა ყველაფერს გავიწყებს, იმის გარდა, რისთვისაც მოუთმენლობა დაიბადა. თავშეკავების უნარსაც ფუშავს. მოუთმენლობით შეპყრობილი ახალგაზრდა იგივეა, რაც მანქანა, რომელიც დაღმართზე მიდიოდა და ამ დროს მუხრუჭები მოეშალა. ადვილი არ არის, მოუთმენლობით შეპყრობილ ქალიშვილს რამე გადააფიქრებინო, დაუშალო. თვითონ ხომ ვერც ხვდება, რომ მოუთმენლობითაა შეპყრობილი. მას ჰგონია, რომ ყველა, ვინც თავშეკავებისაკენ მოუწოდებს, განგებ უშლის ხელს სურვილის განხორციელებაში. კეთილ და გონივრულ რჩევებს მტრულად და აგრესიულად ღებულობს, უაზრობად მიაჩნია. რა არის საჭირო ამ დროს, რომ ქალიშვილი გონზე მოვიდეს, საღი აზრი დაუბრუნდეს? მოთმინებითი პედაგოგიკა, რასაც მშობლები, სამწუხაროდ, კარგად არა ვართ დაუფლებულნი.

ვინ ვიყავით მაშინ შინ? — ყველა. მე ჩემს ოთახში ვმუშაობდი, რაღაცას ვწერდი. შენი ძმა მოხსენებას ამზადებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეზე წასაკითხავად. ბებია დილიდანვე სამზარეულოში ფუსფუსებდა — სადილს გვიმზადებდა. დედა კი წამოწოლილი იყო, თავი სტკიოდა. შენს სიხარულს მე არ გამოვეპასუხე, რადგან არ მინდოდა ფიქრი გამეწყვიტა. გარდა ამისა, შენი დღის რეჟიმი ყველაზე კარგად დედამ იცის. იმ დღეს რუსულში კონსულტაცია გქონდა დანიშნული, თუ მკერავთან წახვიდოდი, მაშინ შეიძლება კონსულტაციაზე დაგეგვიანა. მეორე დღეს სკოლაში საკონტროლო წერა გქონდა, იმასაც მომზადება უნდოდა. გარდა ამისა, წინა საღამოს რადიოთი შენც და დედამაც ერთად მოისმინეთ რომ ცხრა მაისს თბილისის ცენტრალურ ქუჩებზე (სადაც მამიდა ცხოვრობს) დღის პირველ ნახევარში მოძრაობა შეწყდებოდა, დედას ეგონა, თითქოს თქვეს — ორ საათამდეო, შენ კი გახსოვდა, რომ ტრანსპორტი 12 საათამდე არ იმოძრავებდა. უტრანსპორტოდ მამიდასთან ვერ მიხვიდოდი. აქედან დაიწყო კონფლიქტიც. დედამ ჩათვალა, რომ შენ გავიწყდებოდა მთავარი საქმე და ყურადღება კაბებზე გადაგაქვს. ამიტომაც გაღიზიანებულმა გითხრა: „სად უნდა წახვიდე... შენი საკუთარი ყურით არ გაიგონე, ტრანსპორტი არ იმუშავებსო? სამეცადინოც ბევრი გაქვს, კონსულტაციაც გაგიცდება“!.... შენ არ ელოდი, თუ ვინმე წინააღმდეგობას გაგიწევდა: ხუმრობა ხომ არ არის, მკერავთან მიდიხარ! კონსულტაცია? საკონტროლო? რა დროს ამაზე ლაპარაკია, როცა მამიდა გელოდება, მკერავთან უნდა წახვიდე! ეს ფიქრები, ალბათ, ერთ ძლიერ განცდად შეიკრა,. განცდა კი დაიმუხტა და შავი ღრუბლივით დასაქუხებლად მოემზადა. განა ღრუბელმა იცის, რომ თუ სეტყვას დააყრის დედამიწას, მაშინ იქნებ გლეხკაცის შვილივით მოვლილი ვენახი, იმედიანი მტევნებით დახუნძლული, განიძარცვოს ფოთლების, მტევნების და, ვაი, თუ იმედისგანაც? ვერც მოუთმენლობით შეპყრობილი ქალიშვილი გრძნობს, რა შეიძლება მოჰყვეს მისი ემოციების ქუხილს.

შენ კარგად იცი, დედა ჩვენს ოჯახში კოველთვის მართალია. ის ახლაც მართალი იყო. კაბის შეკერვა იმ დღეებში არ იყო სასწრაფო საქმე, კონსულტაციის გაცდენა, კი, რომელიც ჩვენმა მეგობარმა დაგინიშნა, მართლაც უხერხული იქნებოდა. გარდა ამისა, სასწავლო წლის ბოლოა, ქალიშვილი სკოლას ამთავრებს, გამოცდები ახლოვდება, სკოლაში უკანასკნელი ნიშნები იწერება. საკონტროლო წერის შედეგებს შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დიახ, დედა მართალი იყო — იმ დღის ყოველი საათი შენთვის უბრალო აწმყო კი არ იყო, არამედ ისეთი აწმყო, რომელშიც უახლოესი და, იქნებ, შორეული მომავლის წარმატებანი ინასკვებოდა. •შენთვის, მოუთმენლობით შეპყრობილი ქალიშვილისათვის, ამ საათებმა დაკარგეს მომავლის ნასკვების მნიშვნელობა და დღევანდელი სიხარულის მნიშვნელობა შეიძინეს. მაგრამ დედა რაღა დედა იქნება, თუ შვილის მომავალი, თუნდაც ერთი წამით, ხელიდან გაუსხლტება. დედას არ ეგონა (მე ასე ვფიქრობ), რომ იმ წუთას შენ „მარტის“ ასაკის ჭირვეულობამ გძლია, უფრო შენს გონიერებას ენდო, ამიტომ ასე გაღიზიანებული და კატეგორიული ტონით გაგახსენა შენი საქმე. ისე, რა თქმა უნდა, აჯობებდა, დედას უფრო რბილად ეთქვა, რომ, შვილო, ამიტომ და ამიტომ იქნებ არ წახვიდე მკერავთან, დრო არ დაკარგო, სამაგიეროდ კიდევ დავათვალიეროთ მოდების ჟურნალები, რომ არჩევანი არ შეგვეშალოს. სულ-

(გაგრძელება მე-17 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე უშვერიძე

* * *

გორაკზე, მინდვრის ვარსკვლავას
მზეში გაჰქონდა ბრჭყვიალი.
აღმართს ავყევი, არ მიყვარს
ვაკე ადგილზე ყიალი.
წინ ბარდი გადამეღობა,
სისხლი მადინა თქრიალით.
არა მიცდია მოძირკვა,
მაყვლისა იყო ტიალი.
(ბალღებს უყვარან ნაყოფი,
მისი გიშრისფრად ბრიალი).
ნელინელ შემოვიცილე,
მაგრამ გამოდგა გვიანი...
ყვავილს რომ მივწვდი, შეირხა,
ფურცლებ დაჰყარა ფრიალით.

* * *

როდესაც ჩადის ელვარე მნათი
და ღგას დაისი,
ო, როგორ მიყვარს მაშინ გელათი
და ქუთაისი.
როდესაც ბინდში კვიპაროსების
ირხევა ლანდი,
ო, როგორ მიყვარს აღდგენილ მხრებით
მაშინ ბაგრატი.
ყვავილთ სურნელი, სიოს მიმოსვლა
და თვე მაისის...
მიყვარს, იისფრად როცა იმოსავს
მკერდს ქუთაისი.

* * *

ფრთხილად ვალაგებ ბებიის ოთახს,
ქარი ჩალიჩობს.
წვიმის წვეთები ფანჯრის მინებს
ოდნავ ასველებს.
უტუ თოდუას შვილიშვილის
თეთრო ბალიშო,
მადლობელი ვარ, წინაპრები
რომ გამახსენე.

ილია რურუა

# მინიატურები

## ყვავილები მეუღლისათვის

შუქნიშანმა წითელი თვალი შემოგვაკვესა და მანქანა ადგილს გაეკრა მუხრუჭების ღრჭიალით.

გადასასვლელზე აჩქარებულად დაიძრა ხალხი.

ვხედავ, სულ თავში როგორ მოაბიჯებს ახალგაზრდა დედა: მარცხენა ხელით კიკინებიან გოგონას მოაცუქცუქებს, მარჯვენათი კი მკერდზე მიუხუტებია ჩვილი ბიჭუნა და... რძიანი ბოთლი...

აჰა, ყველა გადაიკრიფა, ახალგაზრდა დედას კი გადასასვლელი ჯერაც ვერ გაულევია, რადგან გოგონა პაწაწინა ნაბიჯებით მობაკუნობს, სასაცილო კიკინების ქიცინ-ქიცინით.

არადა, ყვითელი შუქი ატოკდა.

მოტორებიც მოუთმენლად აღმუვლდნენ.

სუნთქვაშეკრულმა, ვარდების თაიგული, ხელში რომ მიჭირავს, უნებურად ჩავბღუჯე.

მადლობა ღმერთს, გადააღწიეს!..

ჩვენი მანქანაც შეტოკდა, მაგრამ შოფერს ხელი ინსტიქტურად ავუკარი საჭეზე, კარი გავაღე და ტროტუარის კიდესთან გავჩნდი.

— გთხოვთ, ქალბატონო, კარგად გამიგოთ... ეს ყვავილები თქვენ გეკუთვნით, თქვენ და თქვენს პატარებს. — კოკრების თაიგული გოგონას მკერდზე მივახუტე, შემდეგ თავისი თბილი ფუნჩულა თითებიც ზედ მივატყუპებინე.

როცა ჩავიარეთ, ახალგაზრდა დედა ისევ ტროტუარზე იდგა... თვალი ვკიდე მხოლოდ მოღიმარ გოგონას, რომელიც თაიგულს გაუბედავად იწევდა ნიაღვრად დაძრული მანქანებისაკენ...

გამოჩნდა ნაცნობი გადასახვევი.

— საით?... ჯერ საბურთალოს ბაზარში უნდა შევიაროთ.

შოფერმა კვლავ გაკვირვებით ამომხედა.

. .

დღეს ჩემი მეუღლის დაბადების დღეა.

ყვავილები მასაც ეკუთვნის — დედობის ყვავილები.

## ქვეყანა ხელის გულზე

უწყალოდ ლამაზი, თვალცეცხლიანი და თამამი წინ გადაგიდგება:

— მომეცით თქვენი ხელი!

მარჩიელობისა თუმცა არა გჯერათ, ბოშა ქალის შემპარავი ხმის მოუგერიებელ ნებას ზოგი ვინმე მაინც ემორჩილება, უფრო — ცნობისმოყვარეობის მაცდუნებლობას. მართლაც და, კაცმა რომ თქვას, ჩვენი ხელის გული ერთობ საინტერესო რამ არის.

ო, ეს ხაზები! ზოგი ღრმად ჩამჯდარი, ზოგიც რბილად გავლებული, ერთმანეთს ჩახვეული იდუმალი სახიერებით, ნამდვილი ხე ცხოვრებისა!

კოსმონავტთა დღიურებშიც ხაზებზეა ლაპარაკი: ხმელთა და ზღვათა კონტურებზე, კონტინენტების მკერდზე გავლებულ გზათა კლაკნილებზე, მდინარეთა ცისფერ ძარღვებზე, ჩვენს პლანეტას რომ შემოხვევია.

დედამიწა, რომელიც ერთ დროს უსაზღვროდ დიდი და გონებისათვის შეუღწეველი გეგონა, დღეს შეცნობილია ხილულად, ვითარცა შენი ხელის გული.

...წავიდა, გაგშორდა ლამაზი ბოშა ქალი, მოქნილი წელის რხევით, მათრობელი ბანგით აღსავსე და ეღიმება შენს ნამდვილ ცხოვნებაზე. მაინც სახიერად გრჩება მისგან ჩურჩულით ნათქვამი ამბავი — ნამდვილს მიმსგავსებული ზღაპარი გარდასულსა თუ მოსალოდნელზე.

და შენც თვალს ვერ აცილებ ხელის გულზე გავლებულ ხაზებს, სიცოცხლის ამოუწურავ საიდუმლოს რომ გიცხადებს იდუმალებით.

## მარადიული ტვირთი

მშფოთვარე ძილში ნანახი სიზმრებიდან მხოლოდ ერთი გამომყოლოდა:

სადღაც, უცნობ გზაზე, მანქანით მივქროდი თითქოს. მოულოდნელად დედის მოწყენილი ლანდი ამოცურდა საქარე მინის წინ და შემდეგ მოშორებით, გზის პირას გაირინდა. ნაჯაფი ხელები მკერდზე დაეკრიფა. სადა კაბაში გამოწყობილს, თავსაფრიდან ჩამოშლილი თმა ერთიანად გათეთრებოდა, თვალებში მონატრების წადილი, ნაღველი და სიხარული ერთდროულად ჩაღვროდა...

სულ უფრო ვუახლოვდები. მინდა მანქანის კარი გავაღო, გადავფრინდე, მაგრამ ჩემს ხელებს და ფეხებს რაღაც უხილავი ხუნდები დასდებია. მტანჯავი ტკივილით ვებრძვი გამთანგავ ძალას გასახსნელად, რათა ასე მონატრებულ არსებას გადავეხვიო... ამასობაში აჩრდილიც განმერიდა. სალონს გადავხედე. შიგ მხოლოდ ცოცხალნი, საღ-სალამათად მყოფნი ვისხედით. დედის ლანდი გამქრალიყო...

სულ გამოფხიზლებული, ფიქრებში გადასული, თავს ვეკითხები:

ვინ დაგვიშალა, რა ძალამ, აუხდენელის თუნდ სიზმარში ახდომა?!

ნუთუ სულად ქცეული დედა მონატრების ამბორსაც ეკრძალვის, რათა სიკვდილის ცივი სუნთქვა განარიდოს თავის ნაშიერთ?!

ვინ აჰკიდა მარადიული ზრუნვის მოუხსნელი, წმიდა ტვირთი დედის არსებას ცხადშიც, სიზმარშიც?!

და მე შევძრწუნდი!

## გედი

ამბობენ, დიდი სულის ადამიანები სიცოცხლესაც გამორჩეულად ტოვებენო.

არ ვიცი, გენიალურ ბალერინად შერაცხული ანა პავლოვა როგორი ადამიანი იყო.

მგონი იშვიათი!

მის სულს უკანასკნელ ნატვრად აღმოხდომია:

— ჩამაცვით გედის სამოსი!

## უკვდავი ბავშვი

მეტროს სადგურში მატარებელი რომ ჩამოდგება, მზერა უნებურად დაეძებს ფანჯრებმოხატულ ვაგონს. . ვიღაცის უხილავი ნებაც იქითკენ მეწევა.

მოიწევა გაჩირაღდნებული ვაგონი მიწის გულში და კვლავ მეღიმება ათასგზის ნანახის შემყურეს: აი წუნა და წრუწუნა პაემანზე... იგივე კოხტა ბიჭი, სათაგვეთის პირველი ყარაჩოხელის წინაშე მუხ-

ლებზე დავარდნილი — მიშველეთ, ხალხნო, საცოლე წამართვესო... კინტოურად გამოწყობილი მგელი და ბაჭიაც აქვე გამოჭიმულან... ოლიმპიელი დათუნაც...

ჩემი ხნის კაცისათვის ცოტა შეუფერებელია თავს ამგვარი რამით ირთობდეს, მაგრამ დამიჯერეთ: რჯული, ხატი, — ფიქრი ჩემს უკითხავად მისრიალებს შორეული ბავშვობის წიაღისაკენ.

ვტოვებთ კი მას ოდესმე?!

## ბებიის ხასიათი

სამზადში შემობრუნებულ ბებიას ელდა ეცა: გადმოყირავებული საბუდრიდან გადმოცვენილი. გამოსაჩეკი კვერცხები სად და სად არ გორავდა. გაფოფრილ კრუხთან შებმული დათო მარდად იქნევდა ხის ხმალს.

თავში წასაშენად გამზადებული ხელები ბებიამ უნებურად გაშალა და ალერსიანი ხმით შეიცხადა:

— უი, ბებია გენაცვალოს, რა ლამაზად გაჰიფუჭებია!

## ბებია და რუხი მგელი

გავიდა რამდენიმე დღე. დათო სოფლელ ბიჭებს თავმომწონედ უყვება ქალაქში მოსმენილ წითელქუდას ზღაპარს.

— ასე შეჭამა რუხმა მგელმა ბებია! — დაამთავრა დათომ. უცებ შეკრთა, სამზადისაკენ გაიხედა და მაშინვე შვებით ამოისუნთქა: — სხვა ბებია!

## ოჯახური დიალოგი ვახშმობის ჟამს

— თამრიკო, იცი, მამაშენმა სულ მალე სხვა დედიკო უნდა მოგიყვანოს.

გოგონამ კოვზი ვარდებით მოხატულ ლამბაქზე დადო, დიდრონი თვალები ჯერ მამას შეანათა გამომცდელად, შემდეგ ბებიას, და გაიბუსა.

ქალმა კვლავ მოიკრიფა სიმხნევე:

— თამრიკო, გაიგე რაც გითხარი?... რატომ ხმას არ იღებ?!

ბავშვმა ერთხელ კიდევ ახედა ნირწამხდარ მოღიმარ მამას და ბებიას შეუტია:

— ქალბატონო მარო, განა არ იცით, ჭამის დროს ლაპარაკი რომ არ შეიძლება?!

## პა-დე-დე ლაჟვარდოვან ნაპირზე

ფიჭვნარის ტევრში, გრძელ სკამზე, მარტოდმარტო ჩამომჯდარი ჭაღარა კაცი ფიქრიანად გასცქერის ზღვის დაცარიელებულ სანაპიროს.

პლაჟზე ერთადერთი საჩრდილობელი ქოლგა ატოკებს დაფხრეწილ მხრებს, როგორც ფრთამოტეხილი ალბატროსი.

ერთიანად გალურსული ზღვის ტალღები მხოლოდ ნაპირთან შარიშურობენ, ამაოდ ლამობენ სილას ოქროსფერ თმაში ჩაუწნან ვერცხლის მარმაშის ღივლივა ლენტი.

ცისა და ზღვის უსასრულობის საკინძეში გახლართულ შეწამულ მზეს შემაკრთობლად მდუმარე მარადისობის წიაღი შეუნთებია, საიდანაც დაღვრემილი იერით იცქირებიან ღრუბელთა ვარდისფერი აფრები.

თითქოს იმ შორი, იდუმალებით სავსე სივრცეებიდან გამოფარფატდნენო, ცის კაბადონზე გამოჩნდა ორი მოცეკვავე თეთრი პეპელა. სიფრიფანა ფრთებზე მზის სხივმა გადაფრქვეს და დიდებული მნათობის წიაღს მიაშურეს. მის მფარველში ერთმანეთზე თავმიდებულებმა, რაღაც იჩურჩულეს, იჩურჩულეს და სხივოსან გვირგვინს ისეთნაირად შემოუარეს, თითქოს ვალსს ცეკვავენო... თავდავიწყებულებმა, ალმოდებული, შემდნარი ფრთებით ძლივს გაასწრეს ლაჟვარდში, ცოტაოდენ გაგრილდნენ და ისევ უკან გასრიალდნენ. ასე რამდენჯერ შეფარფატ-გამოფარფატდებოდნენ. შეფარფატ-გამოფარფატდებოდნენ...,

და კაცს უკვირდა ესოდენ უმწეო, ნაზი, ჰაეროვანი არსებები ამ უსასრულობაში რომ არ იკარგებოდნენ.

რამ მისცა მათ ციცქნა გულებს ასეთი მეფური სითამამე, ღვთაებრივი ძალმოსილება?!

. . .

კაცის გულში ნელ-ნელა გაიღვიძა მინავლებულმა მონატრებამ და გზნებამ, სიყვარულში ორთა განმარტოებას რომ ახლავს ხოლმე.

## სვეტი

ეფესოს ჭალაკს სვეტი ეული თეთრად მდუმარებს:
გამქრალა ცეცხლი, ნაღვერდალიც მიმოფანტულა...,
ნანგრევთა ზედა და ცათა შინა დაცურავს შენი მზიური სული—
სული სრულქმნილი.

სული უძირო,
სული ყოველის ნათელმხილველი...

და ჰეროსტრატეს, მდუღარე ცოდვით მკლავგაშავებულს, უხილავად უპყრია სვეტი, ხანძრის ენას გადარჩენილი:
არა ვით ტვირთი სიზიფისა,
არა ვით ტაძრის ნამუსრევი,
არამედ სახედ დაუქცეველის — მშვენიერის და სრულყოფილის — ჟამთა ხსოვნას საიმედოდ შეფარებულის.

## თამაში

ანტრაქტია.

ფოიეში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სეირნობს. დიდი ხნის შეუღლებულები არ უნდა იყვნენ, რაკი თეატრში ერთად დადიან.

სად იყო, სად არა, წინ გადაუდგათ ერთი ტანდაბალი, პირბუდალა კაცი., ქალი გადაკოცნა, მის მეუღლეს კი ხელი ჩამოართვა და ქვემოდან გახედა.

პირბუდალი სულ ენად გაიკრიფა, ვიღაც-ვიღაცეებს იხსენებს, რაღაც-რაღაცეებს იგონებს, თან ხითხითებს. ქალიც გულიანად იცინის, თითქოს მეუღლის არსებობაც დაავიწყდა.

— ვინ არის ეს ხეპრე? — ჰკითხა კაცმა ქალს, როცა პირბუდალი ისევ ხალხს შეერია ხელის ქნევა-ქნევით.

— ბაყლო!

— ვინ არის, ადამიანო, ბაყლო?

— ვინც არის! — მიუგო ქალმა მრავალმნიშვნელოვნად და თვალები აუციმციმდა. თან გულში იცინოდა, კვდებოდა სიცილით:

„ჩემი კარგი, სულელი ქმარი!.. ბიჭო, ბაყლო, ა, ბაყლო!... ხომ გავუჩინეთ საფიქრალი".

# სიდედრი დაიკარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობლად ვარ გაზრდილი, არც დედა მახსოვს, არც — მამა. მთელი ჩემი ავლადიდება. რაც იმ ცხონებულებმა დამიტოვეს, ჩალით გადახურული ქოხია. რაც მართალია მართალია, ცოლის შერთვაზე იმიტომ ვიკავებდი თავს. რომ მზითვიან ქალს ვეძებდი...

წესი წესია და მეც მომიწია საქორწინო სუფრის მზადებამ. მინდოდა არავინ გამომრჩენოდა. ამბავი მომიტანეს, მთელი სოფელი ემზადებაო... თურმე ნუ იტყვით, ჩემს გაზრდა-დავაჟკაცებაში ყველას ჰქონია წვლილი, ბევრ მათგანს არც კი ვიცნობდი, არ მენახა.

ყველაფერი ჩემი ხარჯით გავაწყე. მაშინ სად იყო ასეთი წესები, ვინ რას გაგიბედავდა, შეურაცხყოფას ვინ მოგაყენებდა და სამათხოვროდ ფულს ვინ შეგიგროვებდა..

ჩემს მზექალას რაღაც საჩუქარი სჭირდებოდა, ისიც მე ვუყიდე. არც სუფრა გაუკრიტიკებია ვინმეს, არც გავუჭორივართ, არც წაკინკლავებულა ვინმე, არც მილიცია დამჭირვებია და არც საავადმყოფო.

აქ რასაც ხედავთ, ყველაფერი ჩემი ოფლით არის შეძენილი. ამ ოდა-სახლს რომ უყურებთ, ორმოცი წლის შრომაა. გოგოების პატრონს ვინ მომაშველებდა ხელს? მზექალა ხშირად მისაყვედურებს ხოლმე, აქვსენტიამ ბინაც მალე აიშენა და კარგი ავეჯითაც გამოჭურჭლაო.

— ქალო! აქვსენტიამ უკვე მესამე მოხუცი დაასაფლავა, გესმის? მანქანაღა აკლია და მაგის ფულსაც მალე გამოუგზავნის, მიქელგაბრიელი მალე ჩაუპაჭუნებს თვალს სიდონიას...

სიდონია აქვსენტიას სიდედრია. კარგი ქალია. ამ ბოლო დროს უჯოხოდ ველარ დადის, თანაც სკლეროზიანია...

ბედი აქვს აქვსენტიას, იმიტომაც იკისრა სიდედრ-სიმამრის მოვლა-პატრონობა, რომ იმათ ააშენეს ეგ უპატრონო!

„ფუი ჩემს ბედს, რა დავაშავე? — ფიქრობდა ლენტორია. — ახლა შორიდან უნდა ვუყურო როგორ შემოაგელვებს „ვოლგას“ აქვსენტია, ვიცი, სწორედ ჩემს ფანჯარასთან დაასიგნალებს..

მაგ ულმერთოს უკვე სიაც აქვს შედგენილი. მთელი სოფელი ჰყავს ჩამოწერილი. ერთი ბებერი მეც რომ მყოლოდა, მეც გავკეთდებოდი!..“

უცებ ლენტორიას ელვასავით გაუელვა თავში პროგრესულმა აზრმა (ზოგჯერ რა დიდებული აზრები მოსდის ადამიანს თავში!): „თუ ცივ ქვაზე არ დავსვი, ლენტორია არ ვყოფილვარ“...

ერთ დღეს აივანზეა ლენტორია და ეზოს კარისაკენ იყურება. ამ დროს აქვსენტის სიდედრი გამოპაჯბაჯდა და ჭიშკართან ხელიდან ჯოხი გაუვარდა, დაიხარა და ველარ მოახერხა ადგომა.

„არიქა, ლენტორ, ვიდრე ცხვირგასიებული, ლიპგადმოვარდნილი აქვსენტია გამოჩნდება, ან მისი მენჯგანიერი ელამი ლუბა, უნდა იჩქარო, ან დღეს, ან არასოდეს!“

ლენტორი კიბეზე დაეშვა, ელვასავით მივარდა სიდონიას, იღლიაში ამოიდო თავის ჯოხიანად და თავის ოდაში აარბენინა. ტახტზე დასვა და დამარცვლით მოახსენა:

— აქვსენტია სხვაგან წავიდა, თქვენი თავი კი მე ჩამაბარა...

სიდონიამ ვერაფერი გაიგო, გაშტერებული იყურება და იცინის...

— ვინ არის აქვსენტია, ბიჭო? მასეთი მე არავინ ვიცი...

ლენტორიასაც ეს უნდოდა.—„იყიდე ახლა „ვოლგა“ აქვსენტია“ — იმეორებს გუნებაში...

საქმე ის არის, მზექალა რას იტყვის, მაგრამ ცოლი რის ცოლია, თუ ქმარს არ გაუგებს და მხარს არ აუბამს.

— ეს მოხუცი დიდხანს ვერ იცოცხლებს, ჩემო მზექალა, ერთ-ორ თვეში „გაემგზავრება“ და აბა შენ იცი, იკივლე და იკივლე, რა გენაღვლება!

მეორე დღეს სოფელი შეინძრა, სიდედრი დაკარგა აქვსენტიამო. შეიქნა მითქმა-მოთქმა, ზოგი რას ამბობდა, ზოგი — რას. იმასაც კი ჭორაობდნენ, გაუჯავრებიათ და წყალში გადავარდნილაო.

დამწუხრებულ აქვსენტიას ხელიდან გაუვარდა „ვოლგა“. სიდედრმა თავისი ოინი რომ არ გაუკვეთოს სიძეს, ისე როგორ იქნებაო, — თავს იმშვიდებდა აქვსენტია...

თვეები მიჰქროდნენ, სიდონია კი სიკვდილს არ აპირებდა. მზექალამ წუწუნით აიკლო ქმარი, ეს რას გადამყარე, მტერს მიეცეს ლოგინად ჩავარდნილი სკლეროზიანი ბებერიო.

აღდგომის წინა ღამეს, წივილ-კივილმა მოიცვა მთელი უბანი, როგორც იქნა, ლენტორიას ხელიდან გამოეცალა „სიდედრი“.

შეიქნა ხალხის დენა, ომების გაშლა, ტირილი, კივილი, შეცხადება, მზადება, სიების შედგენა, ჭურჭლისა და ხორაგის დახვავება...

კარისმეზობელი აქვსენტია ვერდიდან არა სცილდებოდა ლენტორიას. იმას კი ერთი სული ჰქონდა მალე გაესტუმრებინა მითვისებული სიდედრი.

მზექალას მეტი რა ჩარა ჰქონდა, რაც შეეძლო გაჰკიოდა. აქეთ-იქიდანაც ისმოდა ცივი შეკივლებები და ზარი...

წელში მოხრილი მეზობელი ლიზა ბებია შემოვიდა, ვიშვიშით მიუახლოვდა „სასახლეს“ და ოცი წლის წინ გარდაცვლილ შვილთან სიტყვის დაბარება მოინდომა. დამჭკნარი ხელით პირსაბურველი გადასწია... შეცბუნებულმა ლენტორმა თვალები დაკვესა და აქვსენტიას ქვევიდან გააპარა მზერა.

აქვსენტიამ მიცვალებულს დახედა, თითქოს სადღაც უნახავსო. დააშტერდა და კბილები დააკრაჭუნა, ერთი კბილის ჭახანმა ხალხის ყურადღება მიიპყრო.

ᲓᲝᲓᲝ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲛᲔ, ᲨᲔᲜ, ᲖᲦᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲔ

პალმების შრიალს ზღვის რიალი ერწყმის და ერთვის,
მე კი ნაპირზე ფერად კენჭებს ვაგროვებ შენთვის.
ლურჯი ტალღები ისე ვნებით გიკრავენ გულში
მე მეჯიბრება თითქოს ყველა შენს სიყვარულში.
მალი-მალ გიხმობ, შენ მოაპობ ლილისფერ ზვირთებს
და ვერც მოაპობ, ზღვა არ გიშვებს, თანდათან გითრევს.
ის ეფერება სიყვარულის შიშის ფეთებით.
ზღვას შენ უყვარხარ, და საჩემოდ არ ემეტები.
ზღვას შეეცოდე, შენი თავი ისევ დამითმო
და შენც ნაპირთან გამოცურე მხოლოდ ამიტომ.
ათასი კოცნით მზემ აგიშრო მლაშე წვეთები,
მზე რომ მზე არის, მზესაც ჩემთვის არ ემეტები.
— ზღვაზე და მზეზე ვეჭვიანობ — ხუმრობით გითხარ,
შენ გაიცინე და სიცილში ბრწყინავდი დიდხანს.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲩᲘᲠᲐᲫᲔ

# ჯარისკაცული ცხოვრება

ბიბლიოთეკა



სამამულო ომის დაწყებამდე ნინო კვირიკაშვილი ამიერკავკასიის ოლქის სასაზღვრო ჯარების სამმართველოში ექიმ ჰიგიენისტად მუშაობდა, შემდეგ კი ამიერკავკასიის ჯარების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი ექიმი იყო.

მშობლებისაგან განებივრებულმა და ნაზად გაზრდილმა ქალიშვილმა ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და არავითარ გასაჭირს არ შეუშინდა. მას საზღვარზე ბევრი დაბრკოლება და სიძნელე ხვდებოდა, ლოგინს მოკლებული, ბევრჯერ მშიერ-მწყურვალი, ხელფეხგაყინული, უძილობით დატანჯული მიდიოდა ძნელსავალ ადგილებში ფეხით თუ ცხენით.

საგუშაგოზე მისვლისთანავე, რა დროც უნდა ყოფილიყო, მუშაობას იწყებდა. სიძნელეების გადალახვა დიდ მოთმინებას, მტკიცე ნებისყოფას მოითხოვდა.

ნინო კარგად იყო დაუფლებული სამხედრო საქმეს, ცეცხლმსროლელი იარაღის ხმარებას, ცხენზე ჯდომას, პარაშუტით დაშვებას, ცურვას, მოტოციკლის მართვას, სამხედრო ტოპოგრაფიას. ომის პერიოდში ის მამაკაცების გვერდით ვაჟკაცურად მიაბიჯებდა ტყვიის წვიმასა და ყუმბარების ცეცხლში; ჯარისკაცის პირად ჰიგიენას, საკვებს, წყალს ამოწმებდა. როცა საზღვრის საგუშაგოზე მივიდოდა, ჯარისკაცები სიხარულით ხვდებოდნენ: ჩვენი დედა ჩამოვიდაო.

ნ. კვირიკაშვილს ეპიდემიებთან ბრძოლის ბევრი ეპიზოდი ახსოვს.

ერთხელ სასაზღვრე ნაწილში კასრებით თევზი მოიტანეს, მის ვარგისიანობაში ეჭვი შეეპარათ, დრო კი არ ითმენდა, ჯარისათვის საკვები იყო საჭირო, ბაქტერიოლოგიურ ანალიზს კი რამდენიმე დღე სჭირდებოდა. ცხოველებიც არ ჰყავდათ, რომ ცდა მათზე ჩაეტარებინათ. ნინომ საკუთარი თავი გასწირა, შეჭამა თევზი და მოიწამლა, სამაგიეროდ, მოწამვლისაგან იხსნა ათასობით მებრძოლი.

მეორე უკრაინის ფრონტზე ყოფნისას წყლისა და საკვების შესამოწმებლად ნინო და ფერშალი ერთერთ პუნქტში გაემგზავრნენ. საკმაო მანძილის გავლის შემდეგ მტრის ბომბდამშენებმა დაბომბვა დაიწყეს. ორთვალა მდინარეში გასვლის დროს დიდ ქვას წამოედო და გადაბრუნდა. ნინოც და ფერშალიც ქვეშ მოჰყვნენ. სოფლის მცხოვრებლებმა დიდი წვალებით ამოიყვანეს გალუმპულები და სიცივისაგან გათოშილები, გაშრობაც ვერ მოასწრეს, ისევ განაგრძეს გზა და დავალება პირნათლად შეასრულეს.

კარგი სპეციალისტი, შრომისმოყვარე, მტკიცე ნებისყოფის ქალი თავისი საველე სალაშქრო ლაბორატორიასთან სასაზღვრე თუ ფრონტის მოქმედ ნაწილებში ვაჟკაცურად იტანდა ჯარისკაცული ცხოვრების მთელ სიძნელეს.

1943 წლიდან ნინო კვირიკაშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია, მისი ღვაწლი სათანადოდ დააფასა მთავრობამ — დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით, სიგელებით, მადლობებით და პრემიებით. მიღებული აქვს ფრიადოსანი მესაზღვრის სამკერდე ნიშანი.

ნინო სამხედრო სამსახურიდან 1954 წელს გათავისუფლდა ავადმყოფობის გამო. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს სადამოს სასაზღვრო ჯარების გარნიზონის პარტიული აქტივის ორწლიანი სკოლა დაამთავრა; კვალიფიკაცია ლენინგრადის, მოსკოვის და ყაზანის აკადემიებში მიიღო, დაწერა ხუთი სამეცნიერო შრომა.

ნინო კვირიკაშვილი 1955 წლიდან ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში ექიმ-ბაქტერიოლოგად მუშაობს. 1963 წლიდან კი მუშაობას აგრძელებს ამავე საავადმყოფოს ცენტრალურ ლაბორატორიაში მიკოლოგიური განყოფილების გამგედ. მას მიღებული აქვს ექიმ ბაქტერიოლოგის უმაღლესი კატეგორია, არის მიკრობიოლოგთა და ეპიდემიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი. აქაც შესრულებული აქვს ექვსი სამეცნიერო ნაშრომი სოკოვან დაავადებებზე. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ინფექციური განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი, ამავე განყოფილების აგიტატორი, სანიტარული კომისიის თავმჯდომარე და კედლის გაზეთის რედაქტორი იყო. ამჟამად კი საავადმყოფოს სანიტარული კომისიის თავმჯდომარე და სახალხო კონტროლის სანიტარული სექციის ხელმძღვანელია.

დღეს ნინო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრაზე მუშაობს, ზრდის ახალგაზრდა ექიმებს. ის სამაგალითოა. როგორც ადამიანი და მოქალაქე, დედაშვილური დამოკიდებულება აქვს ვიეტნამელ ქალიშვილთან, რომელმაც ქ. კიევში დაამთავრა კონსერვატორია. სანამ გოგონა კიევში სწავლობდა, ნინო მას ხშირად უგზავნიდა ფულს და ამანათებს, სიყვარულით და სითბოთი სავსე წერილებს. ვიეტნამელი გოგონაც, სახელად ფიონი, ყოველთვის გულთბილად უპასუხებდა ნინოს. გოგონას მოწერილი წერილები ასე მთავრდებოდა: „თქვენი ვიეტნამელი ქალიშვილი ფიონი“.

აი, ერთ-ერთი ბოლო წერილი: „ძვირფასო საბჭოთა დედავ!

მე მივემგზავრები სამშობლოში. ნახვამდის! საბჭოთა კავშირში შეიძლება კიდევ დავბრუნდე. ჯერ ზუსტად არ ვიცი. თქვენ ყოველ წუთს, ყოველ დღე მახსოვხართ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ვსვამ ჩაის, ჩემო თბილო, საყვარელო დედა. თქვენს სახეს გულში ვატარებ, —საბჭოთა დედის სახეს, რომელმაც შეცვალა ღვიძლი დედა, რომელიც მხარს მიჭერდა და მამხნევებდა გაჭირვების წუთებში, რომელმაც იმდენი სიკეთე მიყო, რამდენი ვარსკვლავიც არის ცაზე. თქვენი მოსიყვარულე შვილი ფიონა. ქ. კიევი“.

ნინო კვირიკაშვილი ყოველთვის ეხმარებოდა ყველას, ვისაც უჭირდა. სადაც კი მისულა, ყველგან სიკეთე და სიხარული მიუტანია. ასეა დღესაც. ამიტომ უყვართ და აფასებენ მას.

ლიანა ელიზბარაშვილი



# ნადეჟდა

ნადეჟდა ხარაძე შვილიშვილის შვილთან

მე მუსიკისმცოდნე-ჟურნალისტი არა ვარ და ამ პატარა წერილით არ ვისახავ მიზნად, ქართული საოპერო თეატრის ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენლის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ნადეჟდა ხარაძის შემოქმედების ვრცელ და ღრმა ანალიზს.

მე მინდა, სხვებთან ერთად, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებთან ერთად, მადლობა ვუთხრა მას სიხარულისა და სიამოვნებისათვის, იმ სცენური და ვოკალური სახეებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე ხიბლავდნენ საოპერო ხელოვნების მოყვარულთ.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი ნადია ხარაძე, რომელიც პროფესორ ევგენი ვრონსკის კლასში სწავლობდა, მე-5 კურსიდანვე ჩაირიცხა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. მისი დებიუტი ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში" შესრულებული მარეხის პარტია იყო. ეს სპექტაკლი მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადისათვის მზადდებოდა. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. საზოგადოებამ აღიარა, რომ ახალგაზრდა მომღერლის სახით ჩვენს საოპერო სცენას მზარდი და საიმედო შემოქმედი შეემატა.

მე და ჩემი თაობის ადამიანები მაშინ სკოლის მოსწავლეები ვიყავით, მაგრამ იმ ასაკისანი, როდესაც „უფლება" გვქონდა საღამოს სპექტაკლებს დავსწრებოდით. დილის წარმოდგენებს კი არასოდეს გავაცდენდით. ეს ის წლები იყო, როცა ქართველი ხალხი „სულიერ საზრდოს" ოპერის თეატრისა და კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებში ეძიებდა, და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, ახალგაზრდები, მშობლებთან ერთად იქ ვიყავით „დაბუდებულნი".

უსაყვარლეს მსახიობებს გვარებით არ ვახსენებდით. ყველასთვის გასაგები იყო, ვერიკო, სესილია, უშანგი, სერგო, ვასო, პიერი, ჟორა, შალვა, კაკო... მომღერლებზე კი ასე ვამბობდით: „დღეს ნადია მღერის, მერი, დათიკო, პეტრე, ბათუ". ყველაფერი ვიცოდით: როგორი კაბით გამოვიდოდა „ტრავიატაში" ნადია, ან მერი ნაკაშიძე, ცეკვავდა თუ არა „კარმენის" ბოლო მოქმედებაში განუმეორებელი მარიამ ბაუერი. ვინ იყო გასტროლებზე წასული, ვინ ჩამოვიდოდა. ყველაფერი... ყველაფერი... ნადეჟდა ხარაძეს ქუჩაში ფეხაკრეფით უკან მივდევდით, მას ხელში პატარა, იაპონური ქოლგა ეჭირა, და გრაციოზულად მიაბიჯებდა, ახლოს მისვლას ვერ ვბედავდით, გვერიდებოდა... სპექტაკლების დამთავრებისას, განსაკუთრებით კი დილის წარმოდგენების შემდეგ, ოპერის წინ ზღვა ხალხი ელოდებოდა მათ. გვინდოდა ჩვენი კერპები ერთხელ კიდევ გვენახა „ცხოვრებაში". ისინი კი, ხალხის ნაკადის გარღვევა რომ უჭირდათ, ხშირად „უკანა გასასვლელით" იპარებოდნენ.

იმედგაცრუებულნი ჩვენც შინ ვბრუნდებოდით.

საოცარი წლები იყო, ბედნიერი — სადირიჟორო პულტთან ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, შალვა აზმაიფარაშვილი, სამუელ სტოლერმანი, გრიგოლ კილაძე იდგნენ.

რა დიდებული მომღერლები მეფობდნენ სცენაზე: ეკატერინე სოხაძე და ნინო ვალაცი, ელისაბედ გოსტენინა და ჰერტრუდა შმალცელი, ნადეჟდა ცომაია და ტაისა შარატა-დოლიძე, ნადეჟდა ხარაძე და მერი ნაკაშიძე, დავით ანდღულაძე და ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ბადრიძე და მიხეილ ყვარელაშვილი, სანდრო ინაშვილი და დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი და ბათუ კრავეიშვილი, ანასტას ჩაკალიდი და ლეონ ისეცკი, გრიგოლ ვენაძე და ნიკოლოზ ბელაქნელი, გრიგოლ გრიგორაშვილი, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, განუმეორებელი ფატმა მუხტაროვა, რომელიც თბილისს მეორე სამშობლოდ თვლიდა. ჩვენი ვერა დავიდოვა და დიმიტრი მჭედლიძე, საბალეტო ხელოვნების უბრწყინვალესი წარმომადგენლები: ვახტანგ ჭაბუკიანი, ვერა წიგნაძე, მარიამ [illegible], ლილი გვარამაძე... და ასეთ თანავარსკვლავედში ერთ-ერთი პირველი ადგილის დაკავება არც თუ ისე იოლი იყო.

და იმ დროიდან დაწყებული, 1962 წლამდე, ნადეჟდა ხარაძემ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე მრავალი როლი განასახიერა, როგორც ქართულ ისე დასავლეთ ევროპულსა და რუსულ ოპერებში. და მისი შესრულებული ყოველი როლი ქალური მომხიბვლელობით, ხასიათში ღრმა წვდომით, ნამდვილი ჭეშმარიტი არტისტიზმით გამოირჩეოდა.

მოკრძალებული და ერთგული მარო (ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი"), გრაციოზული, ეშმაკი და მომხიბლავი როზინა (როსინის „სევილიელი დალაქი"), აბესალომის ერთგული დაიკო მარეხი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"), სიყვარულისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი ქეთო (ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე"), კურტიზანი ქალი ვიოლეტა (ვერდის ოპერა „ტრავიატა"), ლატავრა (ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა"), ცბიერი დედოფალი, მარგარიტა ვალუა (მეიერბეერის ოპერა „ჰუგენოტები"), გელენა (დანკევიჩის ოპერე „ბოგდან ხმელნიცკი"), სიყვარულის მსხვერპლი ჯილდა (ვერდის ოპერა „რიგოლეტო"), პირიმზისა (ა. კერესელიძის ოპერა „ბაში-აჩუკი"), ტურფა (ვ. გოკიელის ოპერა „პატარა კახი"), ვედემონის თავდავიწყებული მოტრფიალე უსინათლო იოლანტა (ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტა"), თინათინი (შ. მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა"), მახვილი, სატირული შტრიხებით გამოძერწილი მახრების დედოფალი (ა. ბუკიას ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები") და მელია (ვ. გოკიელის ოპერა „წითელქუდა"). ხოლო მის მიერ განსახიერებული კლასიკური ოპერეტების გმირები ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი საოპერო თეატრის ისტორიაში. ნადეჟდა ხარაძის პერიკოლა (ჟ. ოფენბახის ამავე სახელწოდების ოპერეტა) მსოფლიოს ყველა ქვეყნის თეატრის სცენას დაამშვენებდა.

მსმენელი აღფრთოვანებული ოვაციებით ხვდებოდა საკონცერტო ესტრადაზე ყოველ მის გამოსვლას. ის ერთნაირი წარმატებით ასრულებდა არიებს, რომანსებს და სიმ-

# ხარაძე

ღერებს მსოფლიოს მუსიკალური ხელოვნების საგანძურიდან. ბევრს მოგზაურობდა, მართავდა გასტროლებს ჩვენი ქვეყნის საოპერო თუ საკონცერტო სცენებზე.

1962 წლიდან ნ. ხარაძე პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. პროფესორ ნადეჟდა ხარაძის აღზრდილი სტუდენტები წარმატებით მღერიან თბილისის, ქუთაისის საოპერო თეატრების სცენებზე. ასევე მომღერალი გატაცებით მუშაობს თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში.

12 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ნადეჟდა ხარაძემ მშობლიური სცენა დატოვა. დიდი სურვილი გვქონდა საყვარელ მომღერალს შევხვედროდით. ამიტომ გადავწყვიტეთ ხელოვნების მუშაკთა სახლში მისი შემოქმედებითი საღამო გაგვემართა.

ეს 1974 წლის 29 აპრილს იყო. თბილისის ქუჩებში გამოჩნდა აფიშები. ერთი დღით ადრე ვიგრძენი, რომ ზღვა ხალხი მოაწყდებოდა პატარა დარბაზს, რომელიც მხოლოდ გაჭირვებით იტევს 200-მდე მაყურებელს. სასწრაფოდ გადავიტანეთ საღამო ა.კ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. მაგრამ ვერც იმ დარბაზმა დაიტია მსურველი.

საოცარი საღამო იყო, დაუვიწყარი!

ყველა გამომსვლელი მას მხოლოდ „საყვარულო" სიმღერით ესალმებოდა. მაყურებლისათვის პირველი მოულოდნელობა კი ჩემი „თავხედობა" იყო, როდესაც მე, „ალფრედმა" ლირიკული ტენორით, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ნადეჟდა ხარაძესთან ერთად დუეტი ვიმღერე „ტრავიატას" პირველი მოქმედებიდან, როიალთან კი პროფესორი ტატიანა დუნენკო იჯდა. გაოცებული, აჰარხარებული დარბაზი მხურვალედ მოგვესალმა. იმ დღეს კვლავაც ძველებურად ჟღერდა ნ. ხარაძის ხმა, კვლავაც ისეთი მომხიბლავი იყო, როგორც წინათ!

საზოგადოება აღაფრთოვანა ნოდარ ანდღულაძესთან ერთად შესრულებულმა დუეტმა („კარმენიდან"). კარმენი კი მას არასოდეს უმღერია. რა ტემპერამენტით ცეკვავდა ქ-ნი ნადეჟდა კასტანეტებით, ხოლო როდესაც თინათინ მერკვილაძესთან და ევგენია გურამშვილთან ერთად „კარამბოლინა" იმღერ-იცეკვა და ნოტი — „ლა" აიღო, დარბაზის კედლებიც კი აზანზარდა.

ფეხზე მდგომი მაყურებელი საყვარელ მომღერალს დიდხანს არ უშვებდა სცენიდან. მას შემდეგ 7 წელიწადი გავიდა. უცნაური და საოცრად სასიამოვნოა, რომ დრომ ვერაფერი დააკლო მის ხმას და დღეს უკვე 70 წლის მომღერლის ხელოვნება ისევე მომხიბლავია, როგორც ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო.

ამის დასტურია სულ ახლახან მომზადებული სატელევიზიო გადაცემა „შეხვედრა ნადეჟდა ხარაძესთან". რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა და განმეორებით უჩვენეს მაყურებელს ეკრანზე. ნადეჟდა ხარაძის ოჯახში ტელეფონის ზარი დაუსრულებლად რეკდა: „მადლობა იმისათვის, რომ დაგვიბრუნეთ ბედნიერი წლები". „სიხარულით ვტიროდით", „იცოცხლეთ, ხშირად გამოჩნდით ეკრანზე". გადაცემის მეორე დღეს ჩვენი სასიქადულო მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე კონსერვატორიაში ხმამაღლა გაიძახოდა: „უსმინეთ გუშინ ნადიას? აი ყველა დროის მსახიობი და მომღერალი, ისწავლეთ მისგან".

ბედნიერი შემოქმედია ნადეჟდა ხარაძე, ბედნიერია — ოჯახით და შთამომავლობით. შვილი უზადო მოქალაქე და ნიჭიერი მუსიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნანა დიმიტრიადი, ჩვენი სახელმოხვეჭილი დირიჟორის სსრკ სახალხო არტისტის, ოდისეი დიმიტრიადის ქალიშვილი; სიძე — რეჟისორი ლევან თაქთაქიშვილი; შვილიშვილი კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის ასპირანტი, ახალგაზრდა ნიჭიერი ფიზიკოსი სანდრო თაქთაქიშვილი; რძალი საუცხოო კინომსახიობი და მუსიკოსი ლიკა ქავჟარაძე, და ბოლოს, შვილიშვილისშვილი, რაფაელის ტილოდან გადმოსული პატარა ქერუბინი ლევანიკო თაქთაქიშვილი!..., მის დავაჟკაცებასაც მოსწრებოდეს!

**მერაბ თაბუკაშვილი,**
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.


ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟ. ოფენბახი — „პერიკოლა" — პერიკოლა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა მურუსიძე სტუმრად ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციაში.

# სადაურსა სად წაიყვან...

მერკვილაძის მყუდრო ქუჩაზე ძველი თბილისური სახლის კიბეები იარუსებივით დაკიდებულა. მივყვები მაღალ საფეხურებს და ვიწროაივნიან ოთახთან ვჩერდები. ზარის ღილაკს ხელით ვეხები. ახალგაზრდა ქალი კარის ზღურბლთან ღიმილს მაგებებს და თავისთან მიწვევს. ლარნაკში ყელმოღერებული წითელი მიხაკებია. კედელზე მძიმე ხალიჩაა დაშვებული. ხალიჩიდან დედ-მამის სურათად ქცეული სახეები გვიმზერს და გვიღიმის.

ცისანა მურუსიძე ამჟერად სტუმარია თავისი ოჯახისა, თავისი კერისა, სადაც ფეხი აიდგა, ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები ლაღად გაატარა.

ვერა და ვიქტორი ოთხ შვილს ზრდიდნენ და მათს ჭერქვეშ ბედნიერება სუფევდა, არ ბინადრობდა ხელმოკლეობის წუხილი. ბავშვებს მშობლებმა იმთავითვე წიგნი და შრომა შეაყვარეს. დედა თეატრის დიდი ტრფიალი იყო, ლექსებს მხატვრულად კითხულობდა და შვილებიც ინტერესით უსმენდნენ.

თავდაპირველად ცისანა პიონერთა სასახლეში მიიყვანეს. დრამატულ წრეს მაშინ ვახტანგ სულაქველიძე ხელმძღვანელობდა. თორმეტი წლის გოგონა საბავშვო სპექტაკლებში მონაწილეობდა. მეტწილად მოხუცის როლებს ასრულებდა. გარდასახვის კარგი უნარი აქვსო, ამბობდა მასზე წრის ხელმძღვანელი. მუსკომედიის თეატრის რეჟისორი დუდე ძნელაძე მეზობლად ცხოვრობდა და ყოველთვის თადარიგს იჭერდა, რომ ცისანასა და მათი ეზოს სხვა ახალგაზრდებს საინტერესო სპექტაკლები ენახათ.

წლები მიდიოდა. თანაკლასელები გამოსაშვებ საღამოზე შეიკრიბნენ. სიყვარულით ეთხოვებოდნენ სანუკვარ 23-ე საშუალო სკოლას, მის თბილ კედლებს, სახავდნენ მომავლის გზებს, ვარდისფრად ესახებოდათ მერმისი. მათ შორის იყო ცისანაც და ჭერხის მეგობრებმა რიჟრაჟამდე ვერ დათმეს ერთმანეთი. ვინ იცის, ცხოვრების ბილიკები სადაურსა სად წაგვიყვანსო, — ნეტარად წარმოთქვამდნენ ისინი.

1958 წლის ზაფხული იდგა. ცისანამ მშობლებს გადაწყვეტილება გაანდო — მოსკოვს უნდა წავიდეო. თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის კარი ფრთხილად შეაღო. „სარეჟისორო ფაკულტეტი" — ამოიკითხა წარწერა, ახალგაზრდა ქალს საბუთები გადააწოდა, მაგრამ სარკმლის მიღმა ხმა შემოესმა — თეატრში მუშაობის სტაჟის ქაღალდი გაკლიათო. ცისანამ საბუთები უხალისოდ გამოართვა და უკან დაბრუნდა.

სექტემბერში თეატრალური სეზონი დაიწყო. ცისანა მურუსიძე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სიხარულით შეუდგა მუშაობას. მასობრივ სცენებში მონაწილეობდა. თეატრის ცხოვრებით ცხოვრობდა. სცენის დიდოსტატების, მსახიობების გვერდით მოკრძალებით დააბიჯებდა. მისი მასწავლებლები რეჟისორები, მსახიობები იყვნენ, თეატრის ლაბირინთები უსაზღვროდ იზიდავდა.

რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი ბერნარდ შოუს „კეისარსა და კლეოპატრას" დგამდა. რეპეტიციები მიმდინარეობდა. ბატონი ვასო პარტერში იმყოფებოდა. თვალით მონუსხა კუთხეში მიყუჟული სმენადქცეული გოგონა, სცენაზე თვალს რომ არ აშორებდა მედეა ჯაფარიძეს, ვასო გოძიაშვილს და იხმო, გვერდით მომიჯექიო. რეჟისორმა იგრძნო ახალგაზრდის დიდი წადილი და გულთბილად უხსნიდა, ასწავლიდა მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელ თეატრალურ სამყაროს. და ცისანასათვის ნამდვილი, ჭეშმარიტი სკოლა გახდა მარჯანიშვილის თეატრში გატარებული დრო — ორი წელიწადი.

დედამ სადგურამდე გააცილა. შვილების გზის დამლოცველი ყოველთვის ის იყო. ვაგონის სარკმლიდან ქალიშვილი ბედნიერი ღიმილით უმზერდა მშობელს. მის ცხოვრებაში ახალი, მზიანი დღეები იწყებოდა. თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის სა-

რეჟისორო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მოსკოვისაკენ მიიჩქაროდა.

გულმხურვალედ დაეწაფა სტუდენტურ ცხოვრებას. იმთავითვე მიიპყრო ლექტორ-პროფესორთა ყურადღება. მატრიკულში პირველი ხუთიანები გაჩნდა. პროფესორ მარია კნებელსა და ცნობილ რეჟისორს ანდრეი გონჩაროვს, პედაგოგებს ნიკოლოზ პეტროვსა და ირინა სუდაკოვას განსაკუთრებით მოსწონდათ ნიჭიერი ქართველი ქალიშვილი.

ცისანა მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა. და ისიც საინტერესო პროფესიას გულდაგულ ეუფლებოდა. ვიწრო ბილიკით ევლო თუ ფართო გზით, ეს მასზე იყო დამოკიდებული და ბევრს ეძიებდა, მუშაობდა, კითხულობდა. საამისოდ ნებისყოფაც ჰქონდა და უნარიც.

ცისანა მეორე კურსის სტუდენტი გახდა. ერთხელ პედაგოგმა ნიკოლოზ პეტროვმა იხმო.

– სტუდენტურ თეატრს უნდა უხელმძღვანელო, სპექტაკლს მოამზადებ, მთელ ჯგუფთან – 25 სტუდენტთან იმუშავებ.

– რომ ვერ შევძლო? – მოულოდნელობისაგან გაოცებულმა შებედა პედაგოგს.

– შესძლებ, დიახ, შესძლებ. ნუ ყოყმანობ. შენი იმედი გვაქვს, ცისანა, და გაგვიმართლებ კიდეც იმედს.

ეს უდიდესი პატივი იყო ქართველი ქალიშვილისათვის. სიხარულით ხმა ვერ ამოიღო, დასტურის ნიშნად თავი დაბლა დახარა.

ჯგუფი მუშაობას შეუდგა. მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“ შეარჩიეს. დაიწყო შემოქმედებითი ძიების გზა. სცენის ყველა ელემენტი ორგანულად ჩააქსოვა, მიზანსცენები მარჯვედ, რეჟისორულად განალაგა, როლები წვრილმან დეტალამდე გაიაზრა და გაიმარჯვა. მოიმკო კიდეც ლექტორ-პროფესორების, სტუდენტების ქება და მოწონება.

– მე სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მეიერჰოლდისა და მარჯანიშვილის თეატრალური ხედვით აღვიზარდე, ვეზიარე მათს ჭეშმარიტ ხელოვნებას და ეს მინდა გამოვხატო ჩემს მომავალ შემოქმედებაში. ამ მიზნით ვცოცხლობ, ეს მასულდგმულებს – ამბობდა ცისანა.

თეატრალური ინსტიტუტი წარჩინებით დაასრულა. ერთ წელიწადს ქალაქ კიროვში რეჟისორად იმუშავა და სადიპლომო სპექტაკლად „მარი ოქტომბერი“ მოამზადა. მსახიობთა სცენური დიალოგი დახვეწილი გამოვნებით წარმართა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ პიესის დეტექტიკური ხასიათი ღრმა ფსიქოლოგიური გადაწყვეტით შეცვალა, გაამდიდრა, სპექტაკლში ადამიანის შინაგანი ბუნება და ხასიათი წინა პლანზე წარმოაჩინა. ყველამ ერთხმად აღიარა, ახალგაზრდა ხელოვანს საინტერესო რეჟისორული მიგნებები აქვსო. ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ნატაშა კრიმოვამ პრესაში დაწერა: „ფრანგული პიესა, რუსული გადაწყვეტით, ქართული ხასიათით არის მოცემული“.

მოსკოვში, მოწინავე ახალგაზრდების შეკრებაზე ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტმა, შემდგომ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკის განყოფილების მეცნიერ-მუშაკმა იუგოსლაველმა მიხაილ ჩოლოვიჩმა გაიცნო ცისანა. საინტერესო მოსაუბრემ, კდემამოსილმა ქალიშვილმა, რომელსაც მომხიბლავი გარეგნობა ჰქონდა, უმალვე მიიპყრო მიხაილის ყურადღება. ცისანას ლამაზ სახეს შუქმფენი დიდი თვალები და კეთილი ღიმილი ამშვენებდა. კვლავ შეხვდნენ ახალგაზრდები ერთმანეთს და ბოლოს მიხაილმა ქალიშვილს წინადადება მისცა – შევვუღლდეთო.

საბჭოთა მოქალაქე, საბჭოთა პასპორტით ცისანა მურუსიძე მეუღლესთან ერთად იუგოსლავიაში გაემგზავრა და ქ. ტიტოგრადის აკადემიურ თეატრში რეჟისორად დაიწყო მუშაობა. ეს იყო 1966 წელი.

თეატრში პირველ სპექტაკლად მაიაკოვსკის „აბანო“ დადგა. რეპეტიციების დროს რეჟისორი სცენასა და პარტერს შორის დადიოდა. ფეხზე იდგა დარბაზის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში და გამომსახველ მიზანსცენებს მხედველობით ქმნიდა. ამ სპექტაკლის გამო მას პრემია მიანიჭეს.

პირველ წარმატებას არისტოფანეს „ლისისტრატესი“ მოჰყვა, შემდეგ – გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“.

ბრეხტი უყვარდა და ოცნებობდა მის სცენურ ხორცშესხმაზე.

ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ 1968 წელს ნახა ტიტოგრადის მაყურებელმა. ცისანას უყვარდა საქმე, რომელსაც ეზიარა და შემოქმედებითი ფანტაზიით, სამხრეთული ტემპერამენტით ჩინებულად განახორციელა ჩანაფიქრი. მუსიკა, მხატვრობა, განათება, ყველა კომპონენტი, ყველაფერი ერწყმოდა სცენაზე მსახიობის მოქმედებას და ეხმარებოდა სახეთა სწორ გააზრებაში. რეჟისორი მთლიანი მონახაზის ავტორი იყო, პოეტური, ამაღლებული ხელოვნებისაკენ მიისწრაფოდა, ეს მისი გულის კარნახით ხდებოდა, ახალ რეჟისორულ მიგნებებს ეძიებდა.

ცისანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ. 1969 წელს ბელგრადში მიიწვიეს ტრადიციულ ფესტივალზე. ამით უდიდესი პატივი მიაგეს, მაგრამ ეს ხომ გამოცდაც იყო ცისანასათვის. დასი მონდომებით მოემზადა. მარტო იუგოსლავიისა კი არა, სხვა ქვეყნების თეატრებიც მონაწილეობდნენ ბელგრადის ეროვნული თეატრის მე-100 წლისთავის საიუბილეო ფესტივალზე.

ბელგრადის თეატრალურ საზოგადოებას მეხსიერებაში ცოცხლად ჰქონდა შემონახული „სამგროშიანი ოპერის“ ოთხი დადგმა, ორი – ბელგრადის თეატრებისა (ერთი მათგანი იუგოსლავიის ცნობილმა რეჟისორმა ბოიან სტუპიცამ განახორციელა), ასევე პოლონეთისა და რუმინეთის თეატრების სპექტაკლები, რომლებიც წინა წელს გასტროლებზე იყვნენ ბელგრადში. და აი, ცისანა მურუსიძე მეტად მკაცრი გამოცდის წინაშე წარდგა.

დარბაზში, რომელიც 1100 კაცს იტევდა, მაყურებლით, თეატრალური მოღვაწეებით გაიჭედა. სპექტაკლმა „სამგროშიანმა ოპერამ“ წარმატებით ჩაიარა.

სპექტაკლის პირველი მოქმედების დასრულების შემდეგ მსახიობთა სალონში შევიდნენ ბელგრადის ეროვნული თეატრის გენერალური დირექტორი გოიკო მილეტიჩი და დრამატული თეატრის დირექტორი ველიმირ ლუკიჩი, რომლებმაც ცისანას ამ თეატრის რეჟისორობა შესთავაზეს. მან მოკრძალება გამოიჩინა და ჯერჯერობით დადგმას ავიღებო, – ასე განაცხადა.

გაზეთ „პოლიტიკის“ თეატრალურმა კრიტიკოსმა მირკო მილორადოვიჩმა რეცენზია მიუძღვნა აღნიშნულ სპექტაკლს და თავისი „თეატრალური დიაგნოზი“ სათაურშიც ორი სიტყვით „გროში“. როგორც ოქრო – გამოხატა.

მეუღლე ხელს უწყობდა. მხარში ედგა. ცისანა ქალ-ვაჟის – ირინასა და იგორის დედა გახდა, მაგრამ ოჯახური ტვირთის სიმძიმეს არ ეპუებოდა, უკან არ იხევდა. მისი რეჟისორული ხელწერა თანდათან იძენდა ახალ საღებავებს.

მიწვევა მიიღო და პირველი სპექტაკლი ბელგრადის ეროვნულ თეატრში განახორციელა (ა. ჩეხოვის „სამი და“), რომლის პრემიერა 1969 წელს შედგა.

„სამი და“, როგორც ანტიკური ტრაგედია, ასე გადაწყვიტა. ინტერიერებს, წვრილმან დეტალებს გვერდი აუარა. სპექტაკლი თეატრალურმა კრიტიკოსებმა არ მოიწონეს, ისინი რუსულ კლასიკურ სპექტაკლს ელოდნენ, დაახლოებით იმ სტილისას, მოსკოვის სამხატვრო თეატრი რომ დგამდა. მაგრამ მაყურებელმა ინტერესი გამოიჩინა სპექტაკლისადმი, აღიარა იგი. იმ სეზონში ყველაზე დიდი ანშლაგი „სამ დას“ ჰქონდა.

იუგოსლავიის ცნობილმა რეჟისორმა, პროფესორმა და პედაგოგმა ჰუგო კლაინმა დიდად შეაფასა „სამი და“. მან თეატრის მუშაკებთან განაცხადა: მურუსიძის „სამი და“ ჩეხოვის უფრო ახალი და საინტერესო გადაწყვეტაა, ვიდრე განთქმული ჩეხოსლოვაკიელი რეჟისორის ოტომარ კრეიჩისაო. (მისი სპექტაკლი ბელგრადის ინტერნაციონალურ თეატრალურ ფესტივალზე ნახა).

ბელგრადის ეროვნულ თეატრს 115 წლის ისტორია აქვს და ამ თეატრის ისტორიაში ცისანა მურუსიძე პირველი ქალი რეჟისორია. უკვე მე-17 თეატრალური სეზონია, რაც ცისანა იუგოსლავიაში მუშაობს. მან 60 სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს. ცისანას მრწამსი ქართული საბჭოთა თეატრის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის მრწამსია: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა: სიხარული მიანიჭოს, მხნეობა შთაბეროს ადამიანს“.

ცისანა 1970 წლის თეატრალური სეზონიდან მუშაობს ბელგრადის ეროვნული თეატრის რეჟისორად და მან უკვე დიდად გა-

ითქვა სახელი. მისი სპექტაკლები „სხვისი ცოლი ჩემთან, ჩემი ქმარი კი საწოლქვეშ“) (დოსტოევსკის მიხედვით) და ანტონიე ჯურიჩის „სოლუნელები ლაპარაკობენ“ ამ თეატრის პრემიით დააჯილდოვეს.

„სოლუნელები ლაპარაკობენ“ დოკუმენტური დრამაა, სადაც მონოლოგების ფორმით სოლუნის ფრონტის მონაწილეთა თხრობაა თავიანთი ერის – სერბების გოლგოთის შესახებ.

ამ სპექტაკლის („სოლუნელები ლაპარაკობენ“) წარმოდგენა ერთი წლის მანძილზე 120-ჯერ გაიმართა (პრემიერა 1981 წელს შედგა).

თეატრის დარბაზის პირველ რიგში სპექტაკლის დადგმის პირველ დღეს სოლუნის ფრონტის მონაწილენი ისხდნენ. ისინი, ჯილდოებით მკერდდამშვენებულნი და უკვე ღრმა მოხუცებულნი, სულგანაბულნი უსმენდნენ ისტორიის ძველ და მძიმე გაკვეთილს, რომლის ნამდვილი გმირები თვითვე იყვნენ.

სპექტაკლის დასასრულს მსახობები ერთხაზად დაეწყნენ და ჩურჩულით ისმოდა ამოძახილი სახელებისა და გვარებისა. – ცოცხლებისა და გმირულად დაღუპულთა. ჩურჩული მძლავრდებოდა, გუგუნში გადადიოდა, ცოცხალთა და დაცემულთა გვარები ერთდებოდა და ერთ ეროვნულ სხეულად იქცეოდა. დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა გუგუნი. რომელსაც მაყურებელთა ტაში ფარავდა.

სპექტაკლის მონაწილენი თვით მიდიოდნენ დარბაზში მსხდომ მსოფლიო ომის ვეტერანებთან და მდაბლად ხრიდნენ თავს, ესალმებოდნენ.

რეჟისორს მაყურებლებმა სცენაზე ასვლა სთხოვეს. ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა მათემატიკოსმა ტადია პეიოვიჩმა მადლობის ნიშნად ცისანას წითელი ვარდი გადააწოდა. ამ სპექტაკლში დიდი მოქალაქეობრივი აზრია ჩაქსოვილი, დროისა და სივრცის ხილვით სავსე ეროვნული ამბავია მოცემული.

ქართველმა რეჟისორმა ეროვნულ თეატრში დადგა აგრეთვე ბულგაკოვის „სრბოლა“. მონოსპექტაკლი — ევრიპიდეს „მედეა“ (რომელიც თვითონვე თარგმნა), ბერნარდ შოუს „კანდიდა“, ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და მრავალი სხვა.

სახელგანთქმული რეჟისორი სხვადასხვა თეატრების მიწვევას იღებს. ქ. ლესკოვიცში მან სუხოვო-კობელინის „ტარელკინის სიკვდილი“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ და შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ წარმოადგინა.

ქართული ხელოვნების მოღვაწეები ხშირი სტუმრები არიან იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადისა.

1978 წლის ბელგრადის ინტერნაციონალურ მე-12 თეატრალურ ფესტივალზე – რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიც მონაწილეობდა. რობერტ სტურუას სპექტაკლმა ბ. ბრეხტის „კავკასიურმა ცარცის წრემ“ აღაფრთოვანა მაყურებელი. დღესაც იხსენიებენ რამაზ ჩხიკვაძეს. როგორც ბრწყინვალე მსახიობს, დაუვიწყარ აზდაკს.

ქართულ კინოხელოვნებას შორს გაუვარდა სახელი. რამდენიმე წლის წინათ ქართული ფილმების კვირეულზე ელდარ და გიორგი შენგელაიების სურათებიც („შერეკილები“, „ფიროსმანი“, „ვერის უბნის მელოდიები“) იყო წარმოდგენილი. მაყურებელი მოიხიბლა რეჟისორული ოსტატობით. მდიდარი ფანტაზიით, გააზრებითა და გემოვნებით გამორჩეული ფილმებით.

ზურაბ სოტკილავა ეწვია ბელგრადის ოპერის სახელმწიფო თეატრს. სენსაცია გახდა მისი გასტროლები. ყვავილებით აავსეს სცენა. საღამოზე მეოთხე იარუსიდან თაიგული ესროლეს მომღერალს. მან თვალი მოავლო დარბაზს და ეს თაიგული — ცისანა მურუსიძეს გადააწოდა. მსახიობის ეს გულთბილი ჟესტი მაყურებელს შეუმჩნეველი არ დარჩენია და დარბაზში ტაშმა იქუხა.

ცისანა ხშირი სტუმარია საქართველოსი, შვილებით ხშირად ჩამოდის მშობლიურ თბილისში. ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელსაც ეწვევა ხოლმე, ბებიისა და ბაბუის ოჯახის ნაფუძარს არ ივიწყებს. მოივლის ქუთაისს. საქართველოს ისტორიულ ადგილებს – გელათს, ალავერდს, წინანდალს, მოინახულებს მეგობრებს და შემდეგ ისევ თბილისს მოაშურებს, სადაც თავისი ძველი ბინის კედლებს კვლავინდებურად აახმიანებს, დებთან – ციცინოსთან და ვარდოსთან (ამჟამად ფრანგული ენის სპეციალისტებთან), ძმასთან – სერგოსთან ყოფნით გულს მოიჯერებს.

საუბარი დასრულდა. დუმილი ჩამოწვა. ცისანამ სახე კედელს მიაპყრო და თვალი დაენამა.

ხვალ დილით თვითმფრინავით ჯერ მოსკოვს მიემგზავრება. სადაც მეგობრები შეხვდებიან. შემდეგ ბელგრადში გაფრინდება. რეჟისორს ახალი თეატრალური სეზონი – 70 მსახიობი მიელის. ამჯერად მშობლების მოსიყვარულე თვალები კედლიდან აცილებენ და უკან რჩება მერკვილაძის ქუჩაზე ბავშვობის ტკბილად მოსაგონარი თავისი ძველი სახლი.

ეთერ ჯაფარიძე

## იმ ხვალინდელ დღეს

სპეტაკი გულით, მებრძოლი სულით,
ბრძოლის ჟინით და თავდადებით,
მომავლის საქეს მართავენ მარჯვედ
ხვებედნიერი ახალგაზრდები.

ქოშინებს ტალღა აზვირთებული,
არტახებს მჭიდროდ ეკვრის ენგური,
ახალგაზრდული სუნთქვა იგრძნობა
და შემართება ელვისებური.

მარტენის ღუმელს ცეცხლი ედება
და იჭედება რწმენა დიადი,
რომ უფრო ნათლად გამოიკვეთოს
იმ ხვალინდელი დღის განთიადი.

ურყევი რწმენით, შრომით და ლხენით
გული საგულეს ველარ ეტევა,
საქვეყნო საქმეს, პარტიის საქმეს,
ახალგაზრდული, მძლავრი შეტევა!

ბელა ძიძიკაშვილი

## მეცხრე თვე

პირმშოს გულისთქმას სათუთად ისმენ,
უკვე მეცხრე თვის მიჯნაზე შედექ,
ცხოვრება შენთვის განაზდა ისე,
როგორც მთაწმინდა თოვლობის შემდეგ.

ცელქი გოგონა იყავი უწინ,
დიდი მდინარე მიგაჩნდა წვეთად,
ახლა მარგალიტს ატარებ მუცლით
და მიგაჩნია სალოცავ ღმერთად.

ის უდარდელი დღეები გაქრა,
პირველი შობის განცდებით ღელავ,
შემოგითავდა ბავშვობა, მაგრამ
დღეს მოწიწებით გიყურებს ყველა.

ხანდახან სარკმელს უზიხარ მარტო,
თვალყურს ადევნებ ბავშვიან ქალებს
და ქვეყანაზე სხვას არას ნატრობ,
ეს თვეც გავიდეს ოღონდაც მალე!

გიგა მახვილაძე

დასაწყისი იხ. მე-6 გვერდზე

ერთია, შენ მაინც დაგწყდებოდა გული, რომ მკერავთან აღარ წახვედი, მაგრამ ის მაინც აღარ მოხდებოდა, რაც მოხდა: შენ დედას ურჩად და უხეშად უპასუხე—„არაფერიც, მუშაობს ტრანსპორტი, მუშაობს... წავალ, წავალ!“... რომ ცოტა გონიერება გეხმარა, მაშინ ასე მოიქცეოდი: მიხვიდოდი დედასთან, რომელსაც, იცოდი, თავი სტკიოდა, მოეფერებოდი და ალერსიანი თხოვნით აუხსნიდი — „დედიკო, ტრანსპორტი ნამდვილად მუშაობს. მოძრაობა 12 საათამდე იყო შეწყვეტილი. მე კი ყველაფერს მოვასწრებ, საკონტროლოს მომზადებასაც, კონსულტაციაზე მისვლასაც, ოღონდ გამიშვი ახლა მკერავთან, ვერ ვითმენ, ისე მინდა ახალი კაბის შეკერვა!“ დედა შეიძლება დაგთანხმებოდა, შეიძლება არა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უთუოდ ავიცდენდით უსიამოვნებებს, რაც შემდეგ დატრიალდა. ამ თავშეუკავებელმა პასუხმა დედა უფრო გაალიზიანა. დედას არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ აღმზრდელია, რომ უნდა ეცადოს გაუგოს შვილს და ამის შესაბამისად მიმართოს აღზრდის მეთოდსაც, მაგრამ მოვლენები ზოგჯერ ისე სწრაფად ვითარდება, რომ ვერ ასწრებ მათ შეფასებას. მერე დედა რა, განა ადამიანი არ არის?! სად მოიკრიბოს მან მოთმინება, სადღა ეძებოს პედაგოგიკა, როცა შვილი იმედებით, ზრუნვით დატვირთულ გულს უხეშად გაუკაწრავს; იმ მომავლის ხელყოფას ცდილობს, რასაც დედა ასე ელოლიავება? ხუთი, ათი, თორმეტი წლის შვილს დედა ბევრს მოუთმენს და დაუთმობს, რადგან თვლის, რომ ბავშვი ჯერ გონს არ ჩავარდნილა. მაგრამ 15 წლის ქალიშვილში დედა უკვე თანამგრძნობ, გამგებ, მიხვედრილ მეგობარს ეძებს და არა მხოლოდ შვილს, მასში დიდს ხედავს და არა პატარას. ამიტომ მიმართავს, როგორც დიდს, რომელიც ვალდებულია წინდახედულად და გონივრულად იმოქმედოს. ადამიანი ძალით არ უნდა გაალიზიანო, შვილო, არ უნდა გამოიყვანო მოთმინებიდან, წონასწორობიდან, თორემ მაშინ იგი თავის ჭეშმარიტ ბუნებას კარგავს და სხვად გვევლინება. ბრაზიანია განა დედა? — არა, მოალერსეა, გამგებია, სამართლიანია, მშრომელია. ახლა კი, შენი უხეშობით მდგომარეობიდან გამოსული, კატეგორიულად გიცხადებს: „ვერსადაც ვერ წახვალ, მიხედე შენს საქმეს!“ შენ კი — „არა, წავალ!“ აი როგორ უაზროდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს დედა და ქალიშვილი.

მოვლენები კიდევ უფრო ღრმავდება. ხმაურზე ჯერ ბებია გამოვიდა, სახეზე კეთილი ღიმილი უთამაშებს, და წყნარად გეკითხება: „რაშია საქმე?“ შენ, თავი დამანებე, დაუყვირე ბებიას. დაუყვირე მეთქი, გესმის? დაფიქრდი, ერთი, ვის დაუყვირე, მოხუც ქალს, რომელიც თხუთმეტი წელია ზრუნვასა და ალერსს არ გაკლებს. მას რომ გვერდით მეულლე სდგომოდა, მაშინაც დაუყვირებდი? — არა, ვერ გაუბედავდი, იმიტომ, რომ ბაბუა პასუხს მოგთხოვდა, არ გაპატიებდა. ბაბუა კი, დაბადებულიც არ იყავი, როცა გარდაიცვალა. ვილამ დაიცვას ბებია ჩვენს ოჯახში, ვინ გაუფრთხილდეს მას? უმწეო ქალმა გაოცებით შემოგხედა. მერე რა, რომ „მარტის“ ასაკში ხარ, სამაგიეროდ ბებია მოხუცებულობის ასაკშია, გულს უჩივის. და, საერთოდ, დაიხსომე, შვილო, ერთხელ შესრულებულ მოქმედებას გამეორების ძალა აქვს; მეორედ ამ მოქმედებას უფრო ადვილად შეასრულებ და მისი გამეორების ძალაც მატულობს, ანუ ხასიათში გადადის. თუ ერთხელ იუხეშე და ვინმემ მაშინვე არ აღკვეთა შენი უხეშობა, ან თუ შენვე არ დაგეუფლა სინანულის განცდა, მაშინ მეორედ უფრო გაგიადვილდება უხეშობა, მესამედ ველარც კი იგრძნობ, რომ უხეშად მოიქეცი. — რა მოხდა მერეო, იტყვი. ასე ჩამოყალიბდება ხასიათი და ადამიანებს, ახლობლებს გაუჭირდებათ შენთან ურთიერთობა, უხეშიაო, იტყვიან. შენი უხეში პასუხით დაბნეულმა ბებიამ ესღა გითხრა: „რატომ, რატომ?“ და ბავშვივით გაგებუტა. — აღარ დაგელაპარაკებიო. თვალები ცრემლებით აევსო და სავარძელში აცახცახებული ჩაჯდა. შენი უხეში მოპყრობა ყველაზე მეტად იმას ეწყინება, ვისაც უყვარხარ და ვინც შენთვის სულს არ დაიშურებს. მართალი გითხრა, გაოცებული ვარ, როგორ არ შეწუხდი, როცა ბებიის აცრემლებული თვალები და აცახცახებული ტუჩები დაინახე. მაშინვე უნდა გადახვეოდი მას და ალერსით გეთქვა: „მაპატიე, ჩემო საყვარელო ბებია, არ მინდოდა“. ბებიასაც გული მოუბრუნდებოდა, დამშვიდდებოდა. მაგრამ მოხდა კიდევ უფრო უარესი

ძმამ საქმეს თავი მიანება და დინჯი, მკაცრი ხმით გითხრა: „შენ გოგო, რა ამბავში ხარ, როგორ ლაპარაკობ! მოუხადე დედასა და ბებიას ბოდიში“ ნეტავ ძმისთვის მაინც დაგეჯერებინა. შენ კი ახლა მას მივარდი: „მომცილდი აქედან... რატომ უნდა მოვუხადო ბოდიში... არავის არ მოვუხდი ბოდიშს!...“ დედა წამოდგა, უნდოდა დაემშვიდებინე: „მომისმინე, ჩემო ჭკვიანო“... შენ კი უკვე ველარ იკავებ თავს: „არა ვარ ჭკვიანი... რა უნდა მოგისმინო... რა იქნება კაბა შევიკერო... რატომ არ გინდათ, რომ კაბა შევიკერო!“ — და ტირილი ამოუშვი. რას ამბობ, ჩემო შვილო, ყველას გვინდა, რომ ახალი ლამაზი კაბა შეიკერო! რატომ გვადანაშაულებ? აბა, რა ლოგიკაა ასეთი მსჯელობა: რაკი გირჩევთ, რომ დღეს ყველაზე მთავარ და გადაუდებელ საქმეს მიხედო, მკერავთან კი სხვა დროს წახვიდე, იმიტომ ჩვენ, თურმე, არ გვდომებია, რომ შენ ახალ კაბაში მოგვევლინო! განა სასაცილო არ არის? შენ ტირიხარ, ქვითინებ და ლაპარაკობ უკონტროლო სიტყვებს. მე მუშაობას ველარ ვაგრძელებ, არ ვიცი, რა ვქნა, როგორ ჩავერთო საქმეში. ასე მგონია, ხელში მწარე სიტყვებით დატენილი პისტოლეტი გიჭირავს და შეუბრალებლად გვესვრი და გვესვრი. ასე არასოდეს ყოფილა — სათნო და კეთილი ბუნების ქალიშვილი უცბად შეუბრალებელი გახდა. უფრო სწორად, ჩვენ გვთვლი შეუბრალებლად, გვადანაშაულებ და ამიტომ გვსჯი კიდეც მკაცრი სიტყვებით. იცი რას ნიშნავს, ჩემო შვილო, უხეში ემოციებით ნასროლი სიტყვა: ზემოთაც გითხარი — ის ტყვიაზე უარესია. შეუძლია კაცს გული გაუხეთქოს, მის სულში შეიჭრას და იქ სამუდამოდ ჩარჩეს, დაშალოს კეთილი ურთიერთობანი. როცა ვინმე ასეთი სიტყვების სროლას დაუწყებს მეორეს, მეორემაც, მოთმინებიდან გამოსულმა, შეიძლება იგივე იარაღი იხმაროს. გაღიზიანებული ადამიანები კი ველარ უსმენენ და უგებენ ერთმანეთს, თითქოს ყრუვდებიან.

ახლა მე ვცდილობ ჩავერიო საქმეში, მინდა დაგამშვიდო, მოგეფერო, ალერსით გეუბნები: „კარგი, წადი, შვილო, მკერავთან... მე ვთხოვ დედას, რომ გაგიშვას...“ მოსაფერებლად გამოწვდილ ხელებს იცილებ, კარგად არ მისმენ, სწორედ „მარტის“ ასაკის მოზარდებმა იციან ხოლმე ასე: თუ მშობლებმა რამის გამო მკაცრი საყვედური უთხრეს ან ცოტა გადაჭარბებულ ზომას მიმართეს, მაშინვე აღარავინ უყვართ, ეჩვენებათ, რომ მშობლებსაც აღარ უყვართ ისინი და აეკვიატებათ სახლიდან გაქცევის აზრი, რათა ამით დაისაჯონ მშობლები — „ეგეც თქვენ, იყავით ახლა უჩვენოდ, ვნახოთ, რა დღეშიც ჩავარდებით!“ და განა არა, ზოგიერთები მართლაც გარბიან, გონები ნათესავებს, ახლობლებს ან ამხანაგებს აფარებენ თავს, ბიჭებმა შეიძლება სხვა ქალაქში ამოყონ თავი. ყოველთვის კეთილად როდი თავდება ასეთი თავგადასავალი. შენც ახლა ამას გაიძახი — „წავალ სახლიდან!“

რომ ჩაცხრეს ვითარება, დავმშვიდდეთ,— ერთადერთ გამოსავალს ვპოულობთ — შევწყვიტოთ შენთან კამათი და დაგანახოთ, როგორი დაცხრილულნი ვართ ემოციებით ნასროლი სიტყვებით. საგონებელში ჩავარდნილნი, განაწყენებულნი განებებთ თავს და ჩვენს საქმეებს ვუბრუნდებით. ორი წუთიც არ დასჭირვებია ამ შეკამათებას, არა და როგორ დაგვიმძიმდა გულები უსიამოვნო განცდებით. ცოტა ხნის შემდეგ უკვე თავად წუხარ იმის გამო, რაც მოხდა, მაგრამ გიჭირს, რომ გვითხრა: „როგორ ცუდად მოვიქეცი... მაპატიეთ!“... ადვილი როდია წყენით დარღვეულ ურთიერთობათა აღდგენა. რამდენი საუკუნეა ამას რუსთაველი გვასწავლის: „მართლად უთქვამს მოციქულსა — წყენაა ჭირთა ბადე“. გაგვექცა სახლიდან ხალისიანი განწყობილება. ჩვენც გვინდა დავუბრუნდეთ ჩვეულ მდგომარეობას, მაგრამ არც ჩვენთვის არის

ადვილი რომ მიგიტევოთ. მშობლის ნატკენი გულის წამალი ჯერჯერობით ერთადერთია დანაშაულის განცდაში გაზავებული შვილების ალერსი და მოფერება.

ადრე როცა იბუტებოდი, ჩვენ გეფერებოდით, ახლა შენი ჯერია, რადგან აღარ გთვლით ბავშვად..

ასე უხალისოდ გავიდა რამდენიმე დღე, ვიდრე არ მოვიდა მამიდა და არ გამოირკვა, რომ მკერავი, თურმე, არც ყოფილა იმ დღეს შინ. ვიცინოდით და ვგრძნობდით, როგორ გავწვალებულვართ ყველანი და როგორ მოწყურებულნი ვართ ხალისიან, კეთილ, გულწრფელ ურთიერთობას, როგორ გვინდა, რომ ჩვენს ოჯახში ჩვენი საკუთარი მშვიდობის მტრედი გვყავდეს, თეთრი, ფარფატა, ღუღუნა.

ცხოვრების ერთი შფოთიანი გაკვეთილი ზოგჯერ უფრო დიდ ცოდნასა და გამოცდილებას გვძენს, ვიდრე ყოველგვარი გაუგებრობისაგან თავისუფალი თუნდაც ასი გაკვეთილი. ოღონდ უნდა ვიცოდეთ, როგორ გამოვიტანოთ მისგან დასკვნა. ეს გაკვეთილი ჩვენ — შენს მშობლებს კარგ გამოცდილებას გვძენს, შენთვის როგორიღაა იგი?

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, იქნეცი მტრედად, სწორედ ისეთად, როგორიც პიკასომ დახატა.—

შენი მამა.

## სოფელს ამშვენებენ ხანდაზმულები



# დედისერთას დედა

სოფელს ხანდაზმულები სახელსა და პატივს მატებენ, მრავალჭირნახულობით ბურჯად უდგანან მას. თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბანში ცხოვრობს 87 წლის მარიამ ერგემლიძე. მას თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი შრომა, ჯაფა და დარდი გადაუტანია. მაგრამ მრისხანე ომმა უფრო საშინელი ქარტეხილი დაატეხა, ერთადერთი იმედი წაართვა. 17 წლის დედისერთა მოხალისედ წავიდა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად და უკან ველარ დაბრუნდა.

დედას იმედი ჰქონდა შვილი დამიბრუნდებაო. მის ყოველ წერილს პატარა ბავშვივით ეალერსებოდა. წერილები რომ შეწყდა, მაინც ელოდა. ამდენი სიკეთე გამიკეთებია სოფლისათვის და ბედი როგორ გამწირავსო. მართლაც და, სოფელში ყველა კარგის წამომწყები იყო მარიამი: კლუბის გამგედაც უმუშავია, პარტჯგუფორგიც ყოფილა, სოფელ ალისუბნის ერთ ერთი უბნის გზის გაყვანაზეც კაცების თანაბრად შრომობდა. ვეტერან ქალთა შორის მოწინავე, პარტიის აქტიური წევრი, ქალბატონი მარიამი დღესაც დაუზარებლად ასრულებს ყველა სასიკეთო საქმეს.

ერთ ჩვეულებრივ საქმიან დღეს ხანდაზმულებს, პარტიის ვეტერანებს საპატიო ჯილდოები გადასცეს ღირსეული შრომისათვის, უჩინარი, მაგრამ ღირსეული წვლილისათვის, შრომასა და გარჯაში გატარებული ახალგაზრდობისათვის. აქ სხვებთან ერთად თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის მოწინავე კომუნისტის, 87 წლის მარიამ ერგემლიძის გაბრწყინებული სახეც მოგხვდებოდათ თვალში.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა პარტიული დამსახურებისათვის მკერდზე საპატიო მედალი მიაბნია დედა-მარიამს, საჩუქარიც არ დაივიწყა, მარიამმა იმ დღეს ერთხელ კიდევ იგრძნო, რაიონის თანადგომა და გულში გაუნელებელი ტკივილი ერთწუთს დაუამდა.

და ამღერდა მარიამი, ისე ამღერდა, როგორც ახალგაზრდობაში მღეროდა. მისი ტკბილი ხმა ბევრჯერ მოუსმენიათ თერჯოლელებს. ამ ტკბილი ხმისათვის ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში ვარინკა აბაშიძე-წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილ ზეიმზე მარიამი ია კარგარეთელის სახელობის პრიზით დააჯილდოვეს.

გულს არ ემღერება. მაგრამ მაინც მღერის შინმოუსვლელი დედისერთას დედა, რადგან ეს სიმღერა შვილს უყვარდა.

დარეჯან ერგემლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: ანა ღოღობერიძე ძმებთან (მარცხნიდან): გიორგი, დავითი, სიმონი და ნიკო.

# ანა ბესარიონის ასული ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა

ანა (ანეტა) ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა ეკუთვნის იმ ქართველ განათლებულ მოღვაწე ქალთა პლეადას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში განათლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ ქართული პედაგოგიური აზროვნების დედაბოძი იაკობ გოგებაშვილი, ერის დიდი ჭირისუფალნი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ანა ღოღობერიძე დაიბადა 1842 წელს, ქალაქ ქუთაისში. მამამისი ბესარიონი იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანი იყო, დედა — ეკატერინე რგანელი (ქიათურა) აბაშიძის ასული. მათს ოჯახში ანას გარდა აღიზარდა ოთხი ვაჟი, ოთხივე თავის დროისათვის დიდად განათლებული და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. უფროს ძმას გიორგის ჯერ კიდევ 1856 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუმთავრებია, ხოლო მომდევნო ძმებიც ნიკო, დავითი და სიმონი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი მათემატიკური განათლება მათმა ბიძაშვილმა — ბესარიონ ლევანის ძემ, შემდგომში ცნობილმა პედაგოგმა და გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ... ანას ძმა ნიკო და ბიძაშვილი ბესარიონი პეტერბურგში წასვლამდე თბილისის გიმნაზიაში სწავლობდნენ, აქ გაეცნენ და დაუახლოვდნენ ისინი ჭაბუკ ილია ჭავჭავაძეს. აქ ჩაეყარა საფუძველი მათს ურთიერთობას, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა და

შედუღლაბდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის პერიოდში. შემდეგ კი, როცა სამშობლოში დაბრუნდნენ, ისინი ილიასთან მხარდამხარ იღვწოდნენ დიდი ეროვნული საქმეებისათვის. უფროსი ძმა გიორგი კი ილიასთან ერთად მუშაობდა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში საგანგებო მინდობილობათა მოხელედ 1864 წლის მაისიდან ნოემბრამდე. ამავე პერიოდში მას ბედმა არგუნა მასპინძლობა გაეწია ქუთაისში ილია ჭავჭავაძისა და მისი მეუღლისათვის. ისინი გიორგის სახლში ცხოვრობდნენ. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობაში აღიზარდა ანა ღოღობერიძე. მას განათლება ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ოთხკლასიან სასწავლებელში მიუღია. ბეჯითმა ახალგაზრდა ქალმა, უფროსი ძმებისა და ბიძაშვილის ბესარიონის დახმარებითა და ხელისშეწყობით კარგი საერთო განათლება მიიღო. საფუძვლიან მომზადებასთან ერთად იგი შემკობილი ყოფილა ადამიანის უპირველესი ღირსებებით — გულკეთილობითა და დიდი ჰუმანურობით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ის თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე გამხდარიყო.

სამოციანი წლების დასაწყისში ანა ღოღობერიძე და დიმიტრი მუსხელიშვილი დაქორწინდნენ. ოფიცერი დიმიტრი მუსხელიშვილი წარმოშობით მესხეთიდან იყო და მაასურობდა იმ სამხედრო ნაწილში, რომელიც ახალციხეში იდგა. ახალგაზრდა ანა ქმართან ერთად ახალციხეში ცხოვრობს. სამხრეთი საქართველო და მისი ადმინისტრაციული ცენტრი ახალციხე, რომელიც საუკუნეობით თურქდამპყრობთა მონობის უღელქვეშ გმინავდა, ამ დროისათვის 30-ოდე წლის განთავისუფლებულია. ძველი საქართველოს ეს დიდებული მხარე ყველაზე მეტად დაბეჩავებული და ჩამორჩენილი იყო.

ახალგაზრდა ენთუზიასტ პატრიოტ ქალს გადაუწყვეტია ახალციხეში ქალთა უფასო სასწავლებლის გახსნა, რაც 1871 წელს სისრულეში მოიყვანა კიდეც. მისი დამაარსებლის პატივსაცემად ამ სასწავლებელს „ანეტას სკოლა“ შეარქვა ხალხმა. სხვათა შორის ამ სკოლის შენობა დღესაც დგას ახალციხის ძველ უბანში ე. წ. რაბათში.

ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის თაოსნობით დაარსებულმა ქალთა უფასო სასწავლებელმა უდიდესი როლი შეასრულა საერთოდ მესხეთისა და კერძოდ ახალციხის ღარიბული მოსახლეობის ქალთა სწავლა-აღზრდის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ეს სკოლა, ზოგად განათლებასთან ერთად, პრაქტიკულ ჩვევებსაც უნერგავდა აღსაზრდელებს. დაარსების მეორე წელს ჩაუტარებიათ სკოლის მზრუნველ წევრთა ყრილობა (კრება), რომელზეც სკოლის დამაარსებელს განუცხადებია:

„საასწავლებელთან დაფუძნდეს საკერავისა და სხვადასხვა ხელსაქმის სახელოსნო, იმ მიზნით, რომ ღარიბ ქალებს, რომლებიც აქ ათავებენ სწავლას, მივცეთ საშუალება თავიანთი შრომით იცხოვრონ“.

მართლაც ამ სასწავლებელმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ახალგაზრდობისათვის როგორც ზოგადი განათლების მიცემის, ისე მათი პოლიტექნიკური ცოდნით აღჭურვის საქმეში.

ამ სასწავლებლის საქმიანობით და მისი დამაარსებლის ღვაწლით მეტად კმაყოფილი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა:

„სკოლას საკმაოდ გააჩნია აგრეთვე მორალური საშუალებანი, რაც მთავარი პირობაა ასეთი წამოწყების წარმატებისა და განმტკიცებისა იმ ბედნიერი გარემოების წყალობით, რომ მის სათავეში დგას ისეთი პიროვნება, როგორიც არის ა. ბ. მუსხელიშვილისა. ამიტომ წინასწარმეტყველად ყოფნა არ არის საჭირო, რომ სრული დაბეჯითებით ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს სკოლა ყოველმხრივ გახდება სანიმუშო და გადაკეთდება ქალთა პროგიმნაზიად. თუ მას ექნება სასკოლო შენობა, რომელიც დააკმაყოფილებს სასწავლებლის მოთხოვნილებას“.

როგორც ვხედავთ, დიდი შეფასება მისცა ი. გოგებაშვილმა ახალციხის ქალთა უფასო სასწავლებელს, მის დამაარსებელსა და მზრუნველს ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისას.

ამ უანგარო საზოგადო მოღვაწის საქმიანობა მრავალმხრივი იყო. დაწყებული საქმე რომ ფეხზე დაეყენებინა და სკოლას გადაეწყვიტა მის წინაშე მდგარი ამოცანა, ამისათვის სკოლის დამაარსებელი სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავს. 70-იანი წლების გაზეთ „დროებაში“ უამრავი მასალაა მოთავსებული, იმის თაობაზე, რომ ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის თაოსნობით ახალციხეში იმართება წარმოდგენები ქართულ და რუსულ ენებზე. ამ წარმოდგენების შემოსავალი ხმარდება სკოლის საქმეს.

ღოღობერიძეების ოჯახთან, რომელ ოჯახშიაც ანა აღიზარდა, ჭაბუკობის წლებიდანვე ახლო ურთიერთობაში იყო აკაკი წერეთელი. ცხადია აკაკისაც აღაფრთოვანებდა ქველმოქმედი მანდილოსნის დიდად მოსაწონი მოღვაწეობა.

1881 წელს დაიწერა აკაკი წერეთლის ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „ვარდის ხმაზედ“.

„მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“... ეს შესანიშნავი ქმნილება პოეტმა ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისას მიუძღვნა. ეს ფაქტი თავისთავად ღაღადებს იმას, თუ რა დიდ პატივს სცემდა აკაკი ანას.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა მოღვაწეებმა განიზრახეს დაეარსებინათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა ეკუთვნოდა იმ ქალთა რიცხვს, რომელნიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ამ დიდი ეროვნული საქმის დაფუძნებას. საზოგადოების დამაარსებელი წრის წევრები თბილისში იკრიბებოდნენ, ისინი მსჯელობდნენ და იღვწოდნენ საზოგადოების დაარსების აქტუალურ საკითხებზე, ამ წრის მუშაობის შესახებ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა:

„ამავე წრეს ამშვენებდა, ხანდახან ახალციხიდან ჩამოსვლის დროს, ანა ბესარიონის ასული მუსხელიშვილი, ღვიძლი და ნიკოლოზ ღოღობერიძისა. ეს იმერეთის ასული საუკეთესო მანდილოსნად იყო მიჩნეული მთელს შეგნებულს საქართველოში თავისი იშვიათი ჭკუით, მომხიბლავი გულკეთილობით, დარბაისლური ხასიათით და ცხურვალე მონაწილეობით ყველა საზოგადო საქმეში“.

ი. გოგებაშვილის ეს გულითადი სიტყვები ნათლად მეტყველებს ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის დიდბუნებოვნებასა და თვალსაჩინო მოღვაწეობაზე.

1975 წლიდან ანა, მეუღლის სამსახურის ქ. ქუთაისში გადანაცვლების გამო, ახალციხიდან საცხოვრებლად ქუთაისში გადადის. თითქმის 10 წელიწადი მოუხდა მას ახალციხის დატოვება, მაგრამ ამ დროსაც არ შეუნელებია ყურადღება თავისი მზრუნველობით დაარსებული სკოლისადმი.

ამ წლებში მრავალი ცვლილება მოხდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნება. ამ საზოგადოების დაარსებით, ახალი ხანა დაიწყო საქართველოში სწავლა-განათლების ფრონტზე. აღსანიშნავია, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი პირველი სკოლა ქ. ქუთაისში გახსნა 1880 წელს. ანა ღოღობერიძე აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოების ამ დიდებულ ნაბიჯს. ქალაქის საზოგადოებაც პატივისცემით იყო გამსჭვალული მოღვაწე მანდილოსანისადმი. როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის სკოლის მზრუნველთა პირველი კომიტეტი შეიქმნა, მასში 6 გამოჩენილი მოღვაწე აირჩიეს. ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა ერთ-ერთი პირველი შეიყვანეს ამ კომიტეტში.

1881 წლის სექტემბერში თბილისში გაიმართა რუსეთის იმპერიის არქეოლოგთა მეხუთე ყრილობა. ყრილობის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს საგურამოში უნდა ეწვეოდნენ სტუმრები, მათ შორის პეტერბურგიდან ჩამოსული ცნობილი პროფესორი დავით ჩუბინაშვილი. ამის თაობაზე ილიას ორი წერილი მიუწერია საგურამოში მყოფი მეუღლისათვის. ერთ წერილში ვკითხულობთ:

„ოლიკოჯან! ხვალ ე. ი. შაბათს, ანა მუსხელიშვილისა მოდის საგურამოს ჩემთან ერთად. ამას გარდა მაკოც მოდის და პროფესორი ჩუბინოვი“... შემდეგ კი პოეტი მეუღლეს ატყობინებს, რა თადარიგი დაიჭირონ.

როგორც ვხედავთ, დიდი ილია საპატიო სტუმართა შორის პირველ რიგში ანა ლოლობერიძე-მუსხელიშვილისას ასახელებს. ეს ფაქტი ხომ თავისთავად მიუთითებს ანასადმი პოეტის სათანადო პატივისცემასა და დიდ ყურადღებაზე.

1885 წლიდან მუსხელიშვილების ოჯახი კვლავ ახალციხეს უბრუნდება. ანას საშუალება ეძლევა მის მიერ დაარსებულ სკოლას უფრო მეტი დახმარება და მზრუნველობა გაუწიოს.

ანა ლოლობერიძე-მუსხელიშვილისა გარდაიცვალა ჯერ კიდევ ენერგიით ალსავსე, 48 წლის ასაკში, 1890 წლის 13 მაისს (ძვ. სტ) თბილისში.

მაშინდელმა პრესამ ფართოდ აღნიშნა ამ გამოჩენილი მოღვაწე ქალის დამსახურება, კერძოდ, ახალციხის ქალთა უსასყიდლო სკოლის გამართვისა და მყარ საფუძველზე დაყენებაში. მისი სიკვდილი მთელმა მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ გულწრფელად განიცადა. გაზეთი „ივერია“ ამ დიდებული მოღვაწე ქალის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში სხვათა შორის წერდა:

„ხსოვნა იმ ხანაში იქ გატარებულის დროისა, მთელს თავის სიცოცხლეში ცხოვრების მანათობელ სანთლად ენთება თითოეულ იმ ღარიბი ქალთათვის, რომელნიც ანა მუსხელიშვილისამ გამოიყვანა სიბნელიდან და მისცა შეძლება სწავლა-ცოდნის შეძენისა“.

ერთ-ერთ მოგონებაში, რომელიც ანა ბესარიონის ასულ ლოლობერიძე-მუსხელიშვილის დაკრძალვას შეეხება, მეტად საყურადღებო ფაქტზეა მოთხრობილი:

დაკრძალვის დღეს უამრავ საზოგადოებას მოუყრია თავი განსვენებულის ბინაზე, როცა ბინიდან ცხედრის გამოსვენების ჟამი დამდგარა, ძმებს უნდა აეწიათ კუბო. ანას ოთხი ძმიდან დაკრძალვას სამი დასწრებია: ნიკო, დავითი, სიმონი. უფროსი ძმა გიორგი ისე ყოფილა დამწუხრებული, ქუთაისიდან თბილისს ვერ ჩამოსულა. როცა ცხედარი დარბაზიდან გამოუსვენებიათ, დამსწრე საზოგადოებას დაუნახავს, გიორგის მაგივრობას ილია ჭავჭავაძე ეწეოდა, სამ ძმასთან ერთად მეოთხე იგი შესდგომოდა კუბოს. ეს იყო დიდი ილიას მხრივ პატივისცემა, არა მარტო მიცვალებულისადმი, არამედ მთელი ლოლობერიძეთა ოჯახისადმი, იმ ოჯახისადმი, რომლის წევრებთან ილია 50-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა.

**ნიკოლოზ აბზიანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამშვიდობება

უდროოდ წავიდა ჩვენგან ნიჭიერი მწერალი და სათნო ადამიანი ლამარა გვაზავა-სანაძე.

მისი შემოქმედებითი გზა ნაყოფიერი იყო. პირველი ნაწარმოები 1955 წელს გამოაქვეყნა და მას შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვეტია ლიტერატურული მოღვაწეობა.

ლამარა გვაზავა-სანაძემ ოთხი წიგნი მიუძღვნა სამამულო ომის თემას. ამ საინტერესო წიგნებში მკითხველი თვალნათლივ ხედავს უკრაინის მიწა-წყალზე დაცემულ ქართველ მეომართა გმირობასა და თავგანწირვას.

მისი კინოსცენარის მიხედვით კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა,“ რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ხარაზიას ხსოვნას მიეძღვნა. მადლიერების ნიშნად მწერალს მიენიჭა აფხაზეთის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება და გმირის მშობლიური სოფლის ჯირხვის საპატიო მოქალაქეობა.

მწერალმა საკმაო წვლილი გაიღო საყმაწვილო ლიტერატურაში. მისი მოთხრობების კრებულები: „მე არ ვიყავი დამნაშავე“, „ოთხი თაობა“, „ჩრდილოეთის ციალი“ და სხვა გულთბილად მიიღო მოზარდმა მკითხველმა.

ლამარა გვაზავა-სანაძის შემოქმედებაში საყურადღებოა მოთხრობათა კრებული „გაუმხელელი სიყვარული“ და რომანი „ჟამი წამებისა, ჟამი უკვდავებისა“, რომელშიც ისტორიული სიმართლით მხატვრულად მოთხრობილია ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა. გულსატკენია, რომ მწერალს ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, მაგრამ ის რის გაკეთებაც მოასწრო, კეთილი კვალია ქართულ მწერლობაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური ავადმყოფი

ძველი ბოლშევიკის, განსვენებული ელისაბედ ლეჟავას მოგონებებიდან

1918 წელს ლენინის დავალებით მოსკოვიდან ფოთში გემით ჩამოვიდა კამო პეტროსიანი.

მე და ჩემი მეუღლე, შამშე ლეჟავა მაშინ ფოთში ვცხოვრობდით, სადაც შამშე ქირურგად მუშაობდა.

თავისი ვინაობის დასამალავად გემზე კამომ თავი უბრალო, მეწვრილმანე ვაჭრად გაასაღა, ყიდდა ძაფებს, ნემსებს და ძველ ტანსაცმლებს. იმ დროს ყველაფერი ძვირი და ძნელად საშოვარი იყო.

ისე ძვირად ვუფასებდი ჩემს საქონელს მგზავრებს, რომ უარს ამბობდნენ ყიდვაზეო, — იცინოდა კამო.

როდესაც გემი ფოთის ნავსადგურს უახლოვდებოდა, კამომ ფეხის ტკივილი მოიგონა, მარლით შეიხვია და საშინელი კვნესა დაიწყო. გემი ნაპირს მიადგა, კამო ვითომ ფეხს ველარ ანძრევდა და სხვის დაუხმარებლად გემიდან ჩამოსვლა უჭირდა. დაუძახეს მუშებს, ჩამოიყვანეს გემიდან და ჩასვეს ეტლში. კამომ მეეტლეს სთხოვა, — ვინმე ქირურგთან წამიყვანეთ, თორემ ვკვდებიო. მეეტლემ უთხრა, ფოთში მხოლოდ ერთი ქირურგია — შამშე ლეჟავაო. ეს კამომაც კარგად იცოდა და სწორედ ქირურგთან წაყვანაც იმიტომ მოიმიზეზა. — გინდა ლეჟავა იყოს და გინდა ჯანდაბა, ოღონდ ქირურგი კი იყოსო, უპასუხა კამომ. მართლაც, კამო ჩვენთან მოიყვანეს. დააკაკუნეს. კარები მე გავუღე და ვუთხარი, ექიმი შინ არ არის მეთქი. კამომ თქვა, არსად წასვლა არ შემიძლია, შემიყვანეთ ექიმის კაბინეტში და დაველოდები, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. მართლაც, ოთხმა კაცმა ამოიყვანა ხელით. შამშეს კაბინეტში ტახტზე დააწვინეს, მისი ძველი კალათაც შემოიტანეს.

კამო დავტოვე. ოთახში გავედი და კითხვა დავიწყე. მესმოდა კვნესა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ოთახის კარი გაიღო და კამო შემოვიდა. მე გაკვირვებით შევხედე „ავადმყოფს“, ვიფიქრე როგორ შეძლო მარტო სიარული მეთქი, მან ბოდიში მოიხადა და მითხრა: — შეიძლება ჩემი კალათა თქვენს ოთახში გამოვიტანო? აქ ავადმყოფები შემოვლენ და უხერხულიაო. მეც ნება დავრთე. ცოტა ხნის შემდეგ სასტუმრო ოთახში გავედი და ვხედავ, კამოც იქ გამოსულა და ტახტზე წამოწოლილა. ახლა კი ძალიან შემეშინდა! ვიფიქრე: ეს კაცი ან გიჟია, ან საეჭვოდ მოგზავნილი პიროვნება მეთქი და გავვარდი მეორე ოთახში ჩემს დასთან, კატო ჭიჭინაძესთან, ვუამბე ამ საეჭვო ავადმყოფის ამბავი და ისიც საჩქაროდ გამოეშურა სასტუმრო ოთახისაკენ. კატომ მის დანახვაზე გახარებულმა შესძახა: — „ოჰ, კამო!“ და ერთმანეთს მიეგებნენ.

ჩემი და კატო, კარგად იცნობდა კამოს. ის ერთ ზაფხულს უწერაში ყოფილიყო სამკურნალოდ. კამო უწერიდან ჩემმა ძმამ, რევოლუციონერმა ქიქია (მიქელ) ჭიჭინაძემ თავის სახლში წამოიყვანა — სოფელ ხოტევში, სადაც მან ორი კვირა დაჰყო. ჩემი დაც აქ გაეცნო მას. მე რომ კამოს სახელი გავიგონე, ძალზე გამიხარდა და გამოვვარდი ოთახიდან. კამოზე ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ პირადად არ მენახა. მალე შამშეც მოვიდა, იმასაც ძალიან გაუხარდა მისი ნახვა. კამომ უამბო გემზე ვაჭრობისა და „ფეხის ტკივილის“ ამბავი. ორივემ ბევრი იცინა. კამომ რომ გაიგო ვინც ვიყავი, უფრო თამამად და თავისუფლად იგრძნო თავი და მითხრა: — მე ყველა ქალს არ ვენდობი, მაგრამ შენ ქიქიას და და შამშეს მეუღლე ხარ, უთუოდ საიმედო იქნებიო. ამ კალათაში ფული მაქვს რევოლუციური მუშაობისათვის, თქვენი დახმარება მჭირდება, — ეს კალათი უვნებლად და შეუმჩნევლად უნდა გადავიტანო ქუთაისშიო.

მე ვუთხარი, აქ არის ჩვენი ახლობელი, რკინიგზის ინჟინერი, კომუნისტი და მეტად პატიოსანი, სანდო პიროვნება ანდრია (ნესტორ) კაციტაძე, რომელსაც საკუთარი ვაგონი აქვს. მე მას გავანდობ ამ საქმეს და დაგვეხმარება თქვენს გამგზავრებაში მეთქი. მართლაც, მოვიდა ანდრია კაციტაძე და გვირჩია: კალათი მის ეზოში მივეტანა, — მე მას ვუთვალთვალებ და მოხერხებულ შემთხვევაში გადავიტან ჩემს ვაგონშიო. ამ მოლაპარაკების შემდეგ კამომ მთხოვა ახალი კალათა იყიდე, ძველი კალათა არავინ იცნოსო. ფულით სავსე ახალი კალათა კაციტაძის ეზომდე წაიღო შამშეს ბიძაშვილმა დათიკო ლეჟავამ, აქედან კი ვაგონში გადაიტანა კაციტაძემ. კამო სხვა ვაგონში ავიდა, ვითომ კაციტაძეს სულ არ იცნობდა. კამომ ნესტორ კაციტაძე გააფრთხილა: ქუთაისში რომ ჩავალთ, შენ ქუჩის ერთ მხარეს იარე, მე კი მეორე მხარეს ვივლიო, მითვალთვალე და სადაც მე შევალ, შენც იქ შემომყევიო. მართლაც ასე მოიქცნენ და კალათა უვნებლად ჩაიტანეს ქუთაისში.

ასე დავეხმარეთ კამოს ლენინის დავალების შესრულებაში. ამის შემდეგ კამო აღარ მინახავს.

# ამერიკელი ქალები „პერშინგების“ წინააღმდეგ

ნიუ-იორკის შტატში, პატარა ქალაქის სენეკას ახლოს, ავტოსტრადასთან მბრწყინავი, უმალვე თვალშისაცემი ფარი იქცევს მძღოლთა ყურადღებას. მასზე გულმოდგინედ გამოყვანილი ასოებით წარწერილია: „სამართლიანობისა და მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ბანაკი“. იქვე, ფარის ახლოს პატარა ფერმა მოჩანს. ეტყობა, რომ ის არც თუ ისე ახალი აშენებულია: სალებავი გადასვლია, დარაბები დაძველებია. მისი ახალი პატრონები უმიზეზოდ, შემთხვევით არ ჩასახლებულან იქ: ფერმა აშშ-ის არმიის არსენალის ახლოს მდებარეობს, იმ არსენალისა, ბირთვული იარაღი რომ ინახება. პრესის ცნობებით, ევროპაში გატანამდე სწორედ იქ შეაქვთ ფრთიანი რაკეტებისა და „პერშინგების“ ნაწილი. როგორც ცნობილია, სასიკვდილო იარაღის პირველი პარტიის განლაგება ამ წლის ბოლოსთვის არის გათვალისწინებული.

სენეკას ახლოს მდებარე ბანაკში, რომელმაც რამდენიმე თვეს უნდა იარსებოს, ასეულობით ამერიკელი, კანადელი, ინგლისელი ქალი მოვიდა, უფრო კი — ახალგაზრდები. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, ბანაკში მცხოვრებთა პროგრამაშია ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მთელი სერია, ბირთვული რაკეტების მაკეტთა სიმბოლური დასამარება, ახლო მდებარე დასახლებული პუნქტების მცხოვრებთაშორის ბროშურებისა და ფურცლების გავრცელება, საპროტესტო მარშები და სამოქალაქო წინააღმდეგობის დღე.

არმიის ბირთვული იარაღის არსენალის მეთაურები და ადგილობრივი ხელისუფლება გულმოდგინედ ემზადებიან ქალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბანაკს ირგვლივ ეკლიანი მავთულის ერთი რიგი კიდევ შემოავლეს, მცველებს ორმოცი კაცი დაემატა. ადვილი შესაძლებელია, რომ ნიუ ჯერსის შტატიდან რეგულარული ჯარის რამდენიმე ბატალიონსაც გამოუძახონ. გარდა ამისა, როგორც არსენალის უფროსმა, პოლკოვნიკმა ჯონ უილსონმა აღიარა, სხვა ოპერატიულ გეგმებსაც ისახავენ ამერიკელ ქალთა გამოსვლების აღსაკვეთად. ეს გეგმები მას ვრცლად არ განუმარტავს.

ამერიკელ ქალებს შეგნებული აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკის საფრთხე, იმ ადმინისტრაციისა, ბირთვული კატასტროფისკენ რომ უბიძგებს მსოფლიოს.

„მშვიდობისა და სამართლიანობისათვის მებრძოლ ქალთა ბანაკი“, რომლის ორგანიზატორებს ვერც სამხედროები აშინებენ და ვერც პოლიციელები, ამერიკელი ქალების ომის საწინააღმდეგო მოძრაობის აქტივიზაციის ერთადერთი დამადასტურებელი როდია. ფართოვდება და ძლიერდება გაძალებული შეიარაღების ასალაგმავი კამპანია, რომელსაც მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზაციების საერთაშორისო ლიგა (ამერიკის განყოფილება) ატარებს. წლეულს ლიგამ მიმართვა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებს. მიმართვაში პროტესტი იყო გამოთქმული დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე ახალი ბირთვულ-რაკეტული საშუალებების განლაგების მთელი მსოფლიოსათვის საშიში გეგმების წინააღმდეგ. ლიგამ ღია წერილი გაუგზავნა აგრეთვე პრეზიდენტ რეიგანს, რათა მან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გამალებული შეიარაღება. ლიგა აწყობს საპროტესტო მანიფესტაციებს, პრესკონფერენციებსა და მიტინგებს. ნაკლებ აქტივობას როდი იჩენს მეტად გავლენიანი ორგანიზაცია „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“. წლეულს იანვარში მან ფართოდ გაშალა კამპანია ხელისუფლების უგუნური, მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. ორგანიზაციამ გადაჭრით დაგმო ვაშინგტონის წინადადება, რომელიც ბირთვულ სფეროში საბჭოთა კავშირის წინაშე ამერიკის უპირატესობას ითვალისწინებდა.

ა. ლაზარევი

(საკდესი)

# ტორტები და კრემები არაჟნით ან მაწვნით

## ტორტი

დაგჭირდებათ: 250—300 გრ. ბისკვიტის ნამცხვარი („პეჩენიე“) 1/2 კგ არაჟანი ან მაწონი, 3/4 ჭიქა შაქრის ფხვნილი, ერთი ლიმონის ცედრა, 0,5 ჭიქა მოხალული და დანაყილი, ან დაჭრილი ნიგოზი. 1/2 ჭიქა ჯემი.

ტორტის ყალიბში, ან სხვა რამ შესაფერ ჭურჭელში ერთ ფენად მოალაგეთ ბისკვიტის ნამცხვრის ფილები, შემდეგ გადაუსვით რაიმე ჯემი — ქოლოს, ჭერმის, ვაშლის და ა. შ. ზემოდან გადააფარეთ ბისკვიტის ფილების მეორე ფენა. ათქვიფეთ არაჟანი (ან მაწონი), შაქრის ფხვნილთან და სახეხზე დაფხეკილ ლიმონის ცედრასთან ერთად და ზემოდან მოასხით. შემდეგ ერთი ღამე შემოდგით მაცივარში. სუფრაზე მიტანის წინ თავზე მოაყარეთ დანაყილი ან წვრილად დაჭრილი ნიგოზი.

## ღვეზელი

დაგჭირდებათ: 300 გრამი ნამცხვარი („პეჩენიე“), 1/2 ჭიქა შაქარი, 500 გრ. არაჟანი ან მაწონი, ერთი ლიმონის ცედრა ერთი ქილა დაკონსერვებული ხილი (ჭერამი, ატამი, ალუბალი, ბალი, მარწყვი და სხვა), 2 ჩაის კოვზი ჟელატინის ფხვნილი.

ნამცხვარი („პეჩენიე“) მსხვილად დაფხვენით, ჩაყარეთ მრგვალ, ღრმა ჭურჭელში, დაასხით შაქართან და ლიმონის ცედრასთან ერთად ათქვეფილი არაჟანი ან მაწონი და რამდენიმე საათს გააჩერეთ, ვიდრე ერთგვაროვან სქელ მასას არ მიიღებთ. შემდეგ თავზე მოაყარეთ წვენგამოწურული ხილი, მოასხით ნახევრადგაგრილებული სეროფი და შედგით მაცივარში. ღვეზელი სამკუთხა ნაჭრებად დაჭერით და ისე მიიტანეთ სუფრაზე.

სეროფის დამზადება: დამბალი (დაბერილი) ჟელატინი გახსენით ხილიდან გამოწურულ წვენში და გააცხელეთ, ვიდრე ჟელატინი მთლად არ გაიხსნება (გაცხელების დროს გამუდმებით ურიეთ).

## ხილის კრემი

დაგჭირდებათ: 500 გრ. არაჟანი ან მაწონი, 3, 4 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 250 — 300 გრ. ბისკვიტის ნამცხვარი („პეჩენიე“), 1 ჭიქა ახალი ან დაკონსერვებული ხილი: ქოლო, ბალი, ალუბალი და სხვა.

მოზრდილ თასში ათქვიფეთ არაჟანი (ან მაწონი) შაქართან ერთად, დაუმატეთ დაფხვნილი ბისკვიტი და ხილი, კარგად აურიეთ. ჩაასხით პაწია ფინჯნებში ან ვაზებში და ერთი ღამე შედგით მაცივარში. მიტანის წინ თავზე ის ხილი მოაყარეთ, რომლისგანაც კრემი მოამზადეთ.

### კვერცხის კრემი

დაგჭირდებათ: 500 გრ. არაჟანი (ან მაწონი), 3/4 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 ლიმონი, 2 კვერცხი, 1/2 ჭიქა ლიმონი, რაიმე მურაბა.

არაჟანი ან მაწონი ათქვიფეთ შაქართან, კვერცხის გულთან, წვენთან და ლიმონის ცედრასთან ერთად; დაუმატეთ მაგარ ქაფად ათქვეფილი კვერცხის ცილა, მსხვილად დანაყილი, მოხალული ნიგოზი, ოდნავ აურიეთ; ჩაასხით ფინჯნებში ან ფიალებში და მორთეთ მურაბიდან ამოღებული მარცვლებით.

### ტორტი „მარკიზა“

დაგჭირდებათ: 250 გრ. კარაქი, 250 გრ. შაქრის პუდრა, 3 კვერცხი, 150 გრ. შოკოლადი, ბისკვიტის ნამცხვარი („პეჩენიე“), არაჟანი და ჯემი.

გულდაგულ ათქვიფეთ კარაქი და შაქრის პუდრა (30 წუთის განმავლობაში), დაუმატეთ სათითაოდ კვერცხის გულები და 5—6 წუთს თქვიფეთ, შემდეგ დაუმატეთ გამდნარი და შეგრილებული შოკოლადი და მაგარ ქაფად ათქვეფილი კვერცხის ცილები (თან ურიეთ).

ყალიბის გვერდებზე და ფსკერზე მოალაგეთ ნამცხვრის („პეჩენიეს“) ფილები. წაუსვით ჯემის თხელი ფენა: შუა გულზე დაასხით უკვე მომზადებული კრემი და 5—6 საათს შედგით მაცივარში. მიტანის წინ ტორტი გადმოაბრუნეთ შესაფერ თეფშზე ან ლანგარზე და მოასხით ტკბილი, ათქვეფილი არაჟანი. მორთეთ დახეხილი შოკოლადით.



## ელგუჯა ამაშუკელი

## „ცოდნის ზარი—დედა ენა“

წლეულს, სექტემბერში, მტკვრის სანაპირო სკვერში აღიმართა მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი მშობლიური ენისა — ქართული ენისა, დედა-ენისა. იგი დიდის ზეიმით შეემატა ჩვენს უძველესსა და აღდგენილ-განახლებულ თბილისს. გულს ახარებდა ცოდნის კარად აღმართული ქანდაკი, სიმაღლეებისკენ მქროლი ყმაწვილი; „იცოცხლე და იდღეგრძელე ჩვენი ერის იმედო და დღევ ხვალინდელო“ — გაისმოდა მიტინგზე. ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ეს დღე და, ყველა ჩვენგანი, უბრძენესი და უხუცესიდან დაწყებული და „დედა-ენის“ პირველად გადამშლელით დასრულებული, მადლობას წარმოთქვამდა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის მიმართ. ეს მათი დიდი და თანმიმდევრული ზრუნვით შეესხა ფრთა ამ დიდებულ ჩანაფიქრს, ამ დიდ შემოქმედებით გაპარჯვებას, ამ საშვილიშვილო საქმეს...

„დღეს ჩვენ ძეგლს ვუდგამთ „დედაენას“, რომელმაც ასი წლის წინ იხსნა ჩვენი ერი სულიერი დაკნინებისა და განადგურებისაგან ამიტომ, „დედაენის“ შედგენას არანაკლები ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დიდგორის ომს“, აღნიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ; „მადლობა ჩვენი რესპუბლიკის მესვეურებს, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამ საშვილიშვილო საქმისათვის!“. — განაცხადა თავის გამოსვლაში პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. „ჩემს წინაშე ორი ამოცანა იდგა: პლასტიკის ენით უნდა შემექმნა კომპოზიცია, რომელიც დამაჯერებლად გადმოსცემდა ძირითად თემასა და იდეალს, და, ამასთანავე, მასშტაბით, ფორმით ორგანულად ჩაიწერებოდა ქალაქის სივრცეში“. — ამბობს მონუმენტის ავტორი საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, რომელმაც, საქართველოს სსრ დამსახურებულ არქიტექტორ ნოდარ მგალობლიშვილთან ერთად შესანიშნავად გადაჭრა ესოდენ საპატიო ამოცანა; ძეგლი აუგო წიგნს, დედაენას — ეს მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეა, და ჩვენ გულით გვიხარის, როდესაც ვამბობთ: „ეს ახალი ძეგლი მთელი ქართული მონუმენტური ხელოვნების გამარჯვებაა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მუშა ხათუნა ნაზღაიძე; მეოთხეზე — „ცოდნის ზარი — დედა ენა“. მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, არქიტექტორი ნოდარ მგალობლიშვილი

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5. 10. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 11. 83 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.
ტირაჟი 130 000. შეკვ. 2334 უე 07297



თბილისობა.

ს. ჯანიაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ. ინდექსი 76178